ყოველი ბოლოსა, „ოქროსა“ ფერი

ვერსია

№80 (836) 17 – 18 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ბოლოდ 40 თვითრი

ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის რუდიკო გოგუაძის მიმართვა ქართველ ბიზნესმენებს

გვ. 3

ვინ მიიყვანა თვითმკვლელობამდე მამუკა მიქაუტაძე

ვინ არის გელა მანჯავიძე და რა დასკვნას აქვეყნებს გამოძიება

გვ. 2

სქემა, რომლითაც ნაციონალურმა მოძრაობამ სამშენებლო კომპანიები გააკოტრა

უკავშირდება თუ არა სამშენებლო კრიზისი ვანო მერაბიშვილს და რაში ამხიცა „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ „დექსუსი“

გვ. 3

გზების რეაბილიტაცია თუ ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანია — რას მოხმარდა ლენტეხის 18 000 000-ლარიანი ბიუჯეტი?

რომელი ჩინოვნიკების ინტერესები იკვეთება ლენტეხის გზების ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებში?

გვ. 7–8

„ვილაცის ინტერესები იყო და ხალხს აგიქებდნენ“

რა ხდება ზესტაფონის ახალი ბაზრის გარშემო?

გვ. 9

სპეციალური რეპორტაჟი აბასთუმნიდან

გვ. 11–12

დასალუპად განწირული ობსერვატორია

ვანო მაჭავარიანი

„პირდაპირ შემიძლია გითხრათ, ნინო ბურჯანაძე არაფრისგამკეთებელია, ძირითადად, პოლიტიკური ვაჭრობით გამოირჩევა და არასოდეს ყოფილა პრინციპული!“

გვ. 5

რატომ არ სდებენ ლაგამს „სითი პარკის“ ყაჩაღობას?

გვ. 9

ვინ მიიყვანა თვითმკვლელობამდე მამუკა მიქაუტაძე



ვინ არის გელა მანჯავიძე და რა დასკვნას აქვეყნებს გამოძიება



დაკითხვის შემდეგ, ნარკოლოგიური შემოწმების დასრულების შემდეგ

მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე, 16 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა და გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიების პირველადი შედეგები გამოაქვეყნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში განმარტებულია: **„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიების ამ ეტაპზე ვაქვეყნებთ პირველად შედეგებს მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე. ამასთან, საქმესთან დაკავშირებით დასკვნა გამოაქვეყნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ.**

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გარეგნული დათვალიერების და შინაგანი გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ მამუკა მიქაუტაძეს სხეულზე, კისრის არეში დაზიანების გარდა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია, სხვა ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გარდაცვლილის სხეულზე გამოხატულია მხოლოდ გვამური ლაქები.

გარდა ამისა, ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები; დაიკითხა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, თბილისის მთავარი სამმართველოს საკონტროლო-გამშვები პუნქტის 5 ჯარისკაცი და მათი მეთაური, ასევე ის ექიმი-ნარკოლოგები და ექსპერტები, რომლებმაც მამუკა მიქაუტაძეს ნარკოლოგიური შემოწმება და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ჩაუტარეს. ასევე დაკითხულია — მამუკა მიქაუტაძის მეგობრები, თანამშრომლები და მისი მეუღლე ზიზი ეძგვერაძე.

გამოძიების პროცესში, მოწმის სახით და ადვოკატის თანდასწრებით დაიკითხა გელა მანჯავიძეც, რომლის საქმესთან დაკავშირებითაც, მამუკა მიქაუტაძე, 5 ივლისს, თავად იყო მოწმის სახით დაკითხული. მანჯავიძემ გამოძიებას განუცხადა, რომ საქმეში ნახსენები ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა მას ეკუთვნოდა. მისივე ჩვენებით, აღნიშნული ნარკოტიკი მან 5 ივლისს, მამუკა მიქაუტაძეს საჩუქრად შესთავაზა, თუმცა მიქაუტაძისგან უარი მიიღო. გელა მანჯავიძის ჩვენებიდან ასევე დგინდება, რომ დაკავების მომენტში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მისი, ან მამუკა მიქაუტაძის მიმართ რაიმე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

გელა მანჯავიძის ჩვენებით ირკვევა, რომ ის და მამუკა მიქაუტაძე თბილისის მთავარი სამმართველოს შენობის საერთო ფლიგელში ერთად იმყოფებოდნენ, დაკითხვის დროს კი მიქაუტაძე მის მოპირდაპირე მხარეს იჯდა. გელა მანჯავიძის ჩვენებით, მამუკა მიქაუტაძის დაკითხვის პროცესში ამ უკანასკნელის მიმართ გამომძიებლის ან პოლიციის სხვა თანამშრომლების მხრიდან, რაიმე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონდა“.

36 წლის მამუკა მიქაუტაძე 5 ივლისს დააკავეს და მოწმის სტატუსით, თბილისის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში დაკითხვაზე მიიყვანეს. გამოძიების პროცესში, შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტიდან ამოღებულია ქალაქის მთავარი სამმართველოს შენობაზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელზეც ნათლად ჩანს, თუ რა დროს და როგორ შევიდა აბსოლუტურად ჯანსაღი მამუკა მიქაუტაძე თბილისის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, როგორ აიარა კიბე, რა დროს და როგორ დატოვა შენობა; ასევე როგორ დგას იგი, ესაუბრება თანმხლებ პირებს, იცინის კიდეც და სიგარეტსაც კი ეწევა. ამ კადრებში მას არანაირი ფიზიკური დაზიანების კვალი არ აღენიშნება, გადაადგილდება თავისუფლად, დგას აბსოლუტურად ნორმალურად და მეტიც, არც ერთი მოძრაობა არ მიანიშნებს რაიმე საეჭვო ზემოქმედების კვალზე. როგორც შსს განმარტავს, ტექნიკური პრობლემის გამო, მიქაუტაძე საგუშაგოსთან, დაახლოებით, 40 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა, რაც ასევე ასახულია ვიდომასალებში. სხვათა შორის, გამოძიების მიერ დაკითხული საგუშაგოს ჯარისკაცებიც თავიანთ ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ რაიმე სახის ფიზიკური დაზიანებები ანდა რაიმე საეჭვო არც მათ შეუნიშნავთ.

ასევე, საქმეზე გამოძიების პროცესში, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოდან მიღებულია მამუკა მიქაუტაძის მიმართ ნარკოლოგიური გამოკვლევის დროს შედგენილი დოკუმენტები და ფოტომასალა, რომელიც ასევე წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ყველა ეს მტკიცებულება გადასცა ჟურნალისტებს. ფოტო, რომელიც სამინისტრომ გაავრცელა, დაკითხვის შემდეგ ნარკოლოგიური შემოწმების დასრულებისასაა გადაღებული, ფოტომასალის დათვალიერების შედეგად, შეუიარაღებელი თვალითაც იოლი შესამჩნევია, რომ მამუკა მიქაუტაძეს სახის არეში რაიმე სახის ფიზიკური დაზიანება არ აღენიშნება. სწორედ ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობითა და ასევე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე დაადგინა, რომ **„კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მამუკა მიქაუტაძის მიმართ ფიზიკური ზეწოლის ფაქტს ადგილი არ ჰქონია“.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განცხადებისა და ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ, მამუკა მიქაუტაძის მეუღლის, ზიზი ეძგვერაძის განცხადებაც გავრცელდა, რომელიც აცხადებს, რომ აბსოლუტურად ენდობა გამოძიებას: **„გავეცანი შს სამინისტროს პირველად დასკვნას და ამ ეტაპზე ნამდვილად არ მაქვს საფუძველი, მასში ეჭვი შევიტანო. იმედი მაქვს, გამოძიება სამართლიანად გაგრძელდება. თუ პოლიციას იგი არ მიუყვანია თვითმკვლელობამდე, მაშინ უნდა გაირკვეს, ვისი ეშინოდა მას. სამინისტროს მიერ გავრცელებული კადრებიც ვნახე და ის ნამდვილად ჩემი მეუღლეა“.**

გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, 2013 წლის 5 ივლისს საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, შეშელიძის ქუჩაზე, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე გელა მანჯავიძე დააკავეს, რომელიც დაკავებისას შეეცადა, თავიდან მოეშორებინა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალება — 11,56 გრამი გამომშრალი მარიხუანა, რომელიც შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოიღეს. ამის საფუძველზე 2013 წლის 6 ივლისს, გელა მანჯავიძეს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით. გამოძიებამ დაადგინა, რომ 5 ივლისს, გელა მანჯავიძესთან ერთად იმყოფებოდა მისი ნაცნობი, ავტოსადგომის ხელოსანი მამუკა მიქაუტაძე, რომელსაც იმავე დღეს ნარკოლოგიური გამოკვლევის მიზნით ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება, თუმცა მას ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი არ დაუდგინდა. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ბრალდებულმა გელა მანჯავიძემ პირველადი ჩვენება, სადაც ამტკიცებდა, რომ ამოღებული მარიხუანა მას არ ეკუთვნოდა, შეცვალა და აღიარა, რომ **„საქმეში ნახსენები ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა მას ეკუთვნის და აღნიშნული ნარკოტიკი მან 5 ივლისს, მამუკა მიქაუტაძეს საჩუქრად შესთავაზა, თუმცა მისგან უარი მიიღო. გელა მანჯავიძის ჩვენებიდან ასევე დგინდება, რომ დაკავების მომენტში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მისი ან მამუკა მიქაუტაძის მიმართ რაიმე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია“.**

გელა მანჯავიძე ასევე ჩვენებაში წერს, რომ ის და მამუკა მიქაუტაძე თბილისის მთავარი სამმართველოს შენობის საერთო ფლიგელში ერთად იმყოფებოდნენ, დაკითხვის დროს კი, მიქაუტაძე მის მოპირდაპირე მხარეს იჯდა. გელა მანჯავიძის ჩვენებით, მამუკა მიქაუტაძის დაკითხვის პროცესში ამ უკანასკნელის მიმართ გამომძიებლის ან პოლიციის სხვა თანამშრომლების მხრიდან, რაიმე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონდა.

მიქაუტაძის საქმეზე დიდი საზოგადოებრივი ინტერესისა და კონტროლის ფონზე, პოზიციები ორად იყოფა. თუ პირველადი შედეგების გამოქვეყნებამდე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ეჭვქვეშ აყენებდა პოლიციის ქმედებას, დღეს ადამიანის უფლებების დამცველი ნიკა მჟავანაძე მიქაუტაძის მეუღლის პოზიციას ნაწილობრივ იზიარებს და აცხადებს, რომ **„თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი სახეზეა, მაგრამ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ვინ მიიყვანა ამ ქმედებამდე მიქაუტაძე — პოლიციამ თუ მისმა უახლოესმა გარემოცვამ. საზოგადოებაში შექმნილი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ძალიან არაპოპულარულია, სამართალდამცავებთან თანამშრომლობა, არ არის გამორიცხული, მიზეზი აქაც იყოს“.**

მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე გამოძიება გრძელდება. ყველა მასალის გაცნობის შემდეგ რჩება უპასუხოდ კითხვები, რომელსაც ნათელი უნდა მოეფინოს:

პირველი და მთავარი — ვინ არის გელა მანჯავიძე და რატომ შეცვალა პირველი ჩვენება, რატომ სთავაზობდა ასე ჯიუტად ნარკოტიკს ან გარდაცვლილ მიქაუტაძეს, რა წარსული აქვს მას და რა ურთიერთობა იმ წრესთან, სადაც მიქაუტაძე ტრიალებდა? ჩვენი ინფორმაციით, იგი ნასამართლევია და თუკი გავითვალისწინებთ ქართულ მენტალობას, ალბათ, იოლი წარმოსადგენია, რა პოზიცია ეკავა მას ე.წ. საძმაკაცოსთან ანდა იყო თუ არა მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობა სწორედ ამის გამო შიშის ფაქტორით გამოწვეული? საინტერესოა, ვისთან მეგობრობდა გელა მანჯავიძე, შეხვდა თუ არა მათ მიქაუტაძე თვითმკვლელობამდე და რა უთხრეს მათ? გელა მანჯავიძისა და მისი გარემოცვის მიმართ, ეს კითხვები განსაკუთრებით მძაფრდება მას შემდეგ, რაც იგი მედიასთან ურთიერთობაზე და კომენტარზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ამ ეტაპზე, ამ გარემოებებს, ალბათ, გამოძიება დაადგენს და იმასაც, რას ან ვის სისასტიკეს შეეწირა მამუკა მიქაუტაძე?!

ვერსიანიუსი

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ მძღოლებს საზაფხულო მოსაკრებელს უწესებს

მიკროავტობუსის მძღოლებისთვის მარშრუტზე მოძრაობის გადასახადი დღეიდან ეტაპობრივად გაიაფდება. როგორც „თბილისის მიკროავტობუსის“ გენერალურმა დირექტორმა, დავით ასანიძემ განაცხადა, საზაფხულო სეზონის დადგომასა და მგზავრთა ნაკადის კლებასთან დაკავშირებით, კომპანია მძღოლებს საზაფხულო მოსაკრებელს უწესებს. მოსაკრებელი, რომელიც, დღიურად, საშუალოდ, 55 ლარს შეადგენს, მძღოლებისთვის 20%-30%-მდე შემცირდება. რანჟირება კონკრეტული სამარშრუტო ხაზების დატვირთვიდან გამომდინარე მოხდება. **„მოსაკრებლის დაკლება იმ ხაზების მძღოლებს შეეხება, სადაც მგზავრთა ნაკადის კლება ფიქსირდება. ეს შეღავათი, მძღოლებს, მგზავრთა ნაკადის კლებით გამოწვეული, შემცირებული შემოსავლების დარეგულირების საშუალებას მისცემს“,** — აღნიშნა ასანიძემ. საზაფხულო მოსაკრებლები 15 სექტემბრამდე იმოქმედებს.

„რეპორტიორი“

ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის რუდიკო გოგუაძის მიმართვა ქართველ ბიზნესმენებს

ძვირფასო მეგობრებო, საკმაოდ დიდხანს ვფიქრობდი, მიმეცა თუ არა ჩემი თავისთვის უფლება, რომ ღია წერილით და მსგავსი პათოსით მომემართა თქვენთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ დრო აღარ ითმენს და ახლა დუმილი დანაშაული იქნება, ამიტომაც გადავწყვიტე მოგმართოთ. განვლილმა ათწლეულმა მძიმე დაღი დაასვა ქართულ ბიზნესს და ბიზნესმენებს. ეს სიმძიმე ბევრმა თქვენგანმა იწვნია საკუთარ თავზე. ამ ათწლეულის განმავლობაში ისევე, როგორც მე, თქვენი აბსოლუტური უმრავლესობაც ყოფილი ხელისუფლებისგან უსაფუძვლო ბრალდებებს, დევნას და წინააღმდეგობას განიცდიდა. ისინი ცდილობდნენ და შეძლეს კიდეც, დაემკვიდრებინათ მიდგომა, რომ ბიზნესმენი დამნაშავეა — ის ხომ "ფულს შოულობს", არადა თუ კი რამე კარგი გაკეთებულა ქვეყანაში, ეს თქვენ მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხებითაა გაკეთებული. ამით უნდა იამაყოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიზნესის შექმნას და მართვას დიდი შრომა და ჭკუა სჭირდება. ამიტომაც მოგმართავთ თქვენ და იმედი მაქვს თქვენი გონიერებისა.

პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ახალ ხელისუფლებას "ბიზნესის ენა კარგად ესმის". ეს ცვლილება, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა ზოგიერთმა დღევანდელი სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენელმა, ისევე, როგორც ბევრმა ბიზნესმენმა. დღესაც, ცალკეულ შემთხვევებში, მათი მხრიდან ადგილი აქვს დაუმსახურებელ ბრალდებებს, ზეწოლას ბიზნესმენების მიმართ, ასევე უდიერ დამოკიდებულებას კერძო საკუთრებისადმი. ანალოგიურად, ცალკეული შემთხვევებით დაიწყო წინა ხელისუფლების დროსაც ბიზნესზე ზეწოლა, რომელიც მასიურ შეტევაში გადაიზარდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, ბიზნესის უმძიმესი მდგომარეობა პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე.

იმედი მაქვს, ქართული ბიზნესი გაიაზრებს დაშვებულ შეცდომებს, აღარ გაიმეორებს მას, გვერდზე გადადებს პირად ამბიციებს, გაერთიანდება და ერთიანი ძალით წინ აღუდგება იმ მანკიერ მოვლენებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ადგილი. არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად რომელ ბიზნესს ეხება ეს დღეს, შემდეგი ის ბიზნესი იქნება, რომელშიც თქვენ საქმიანობთ. იმედი ნუ გვექნება, რომ ჩვენ გასაკეთებელ საქმეს ვინმე სხვა გააკეთებს, ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ. ამით ხელისუფლებას მხოლოდ დავეხმარებით. დროა, ქართულმა ბიზნესმა თავი მაღლა ასწიოს და საკადრისი პასუხი გასცეს მოძალადე ჩინოვნიკს, რომელსაც დღევანდელი რეალობის ობიექტურად აღქმის უნარიც კი არ აქვს, ფიქრობს, რომ იმავეს გაიმეორებს, რასაც წინა წლების განმავლობაში მისი წინამორბედი აკეთებდა. დროა, ქართულმა ბიზნესმა მოიშოროს ათწლეულების განმავლობაში მასზე მიკრული იარლიყი, რომ იგი დამნაშავეა და ამით დაასრულოს საბჭოური "საქმოსნების" ეპოქა. დროა, ქართულმა ბიზნესმა აქტიურად დაიწყოს ბრძოლა თავისი უფლებების დასაცავად. დროა, ქართულმა ბიზნესმა დაანებოს თავი "ლობის" ძიებას სახელისუფლებო ეშელონებში, ეს მათ უკანონო საქმიანობის და სხვისი ბიზნესის ხელში ჩაგდების საშუალებას არ მისცემს. დროა, ქართული ბიზნესი და ბიზნესმენი დადგეს იქ, სადაც მისი ღირსეული ადგილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ ბიზნესს იმავე მდგომარეობაში ყოფნა მოუწევს, რა მდგომარეობაშიც ის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე იყო.

გთხოვთ, კარგად გავაცნობიეროთ არსებული სიტუაცია, ნუ გადავყრით წყალში ქართველი ამომრჩევლისა და ბიძინა ივანიშვილის თავგანწირული ბრძოლის შედეგს, რომელმაც ქართულ ბიზნესს ღირსების დაბრუნების საშუალება მისცა. ნუ დავივიწყებთ პრემიერის განცხადებას, რომ „ვერავინ გაბედავს კერძო ბიზნესში ჩარევას და აღარ მოხდება არავითარი გადანაწილებები და მთავრობის არც ერთ ჩინოვნიკს არ ექნება უფლება, კანონის გარეშე კერძო ბიზნესში ჩარევის". მე მგონია, რომ ძალიან მოკლე დროში კარგად გააცნობიერეს ეს ბიზნესმენებმა. ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ საქართველოში ეკონომიკის აღორძინებას, რადგან გადამწყვეტი როლი ეკონომიკის აღორძინებაში სწორედ რომ ბიზნესმენს ეკუთვნის და იმ ინვესტიციებს, რომლებსაც ბიზნესმენები ახორციელებენ". ასეთი შანსი, შანსი დემოკრატიული, ძლიერი საზოგადოების შექმნისა, შანსი თავისუფალი ბიზნესის არსებობისა საქართველოში, შეიძლება ქართულ ბიზნესს აღარც კი ჰქონდეს.

ანალიტიკა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სქემა, რომლითაც ნაციონალურმა მოძრაობამ სამშენებლო კომპანიები გააკოტრა

უკავშირდება თუ არა სამშენებლო კრიზისი ვანო მერაბიშვილს და რაში ამხილა „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" „დექსუსი"

„ცენტრ პოინტის" დამფუძნებლების შემდეგ, „დექსუსის" წინააღმდეგ სკანდალურ განცხადებას „ოლიმპიური ვარსკვლავის" წარმომადგენლებიც აკეთებენ. დედაქალაქის მერის, გიგი უგულავას, იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის გადაწყვეტილებით, „ცენტრ პოინტისა" და „ოლიმპიური ვარსკვლავის" რეაბილიტაციაზე „დექსუსს" უნდა ეზრუნა, მაგრამ რეაბილიტაციის ნაცვლად, ისედაც პრობლემურ კომპანიებში კიდევ უფრო მეტი პრობლემა დაგროვდა. თუმცა არავინ საუბრობს, რა იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც სამშენებლო კომპანიები გაკოტრდნენ ან გაკოტრების პირას მივიდნენ. ვინ და რატომ გააღრმავა ქვეყანაში სამშენებლო კრიზისი მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რამაც საბანკო სფეროსთან ერთად, სამშენებლო კომპანიებიც დააზარალა.

„დექსუსი" „ოლიმპიურმა ვარსკვლავმაც" ამხილა

„ცენტრ პოინტის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, **ვახტანგ რჩეულიშვილმა** „ვერსიასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისის მერის, გიგი უგულავასა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის გადაწყვეტილებით, რომელიც ზურაბ ადეიშვილთან იყო შეთანხმებული, „ცენტრ პოინტის" რეაბილიტაცია „დექსუსს" დაევალა:

„იმის ნაცვლად, რომ რეაბილიტაციაზე ემუშავა, „დექსუსის" პირობებში 30 000 000 აშშ დოლარი დავკარგეთ. რეალურად, ჩვენი მთავარი მიზანი უნდა შევასრულოთ, რათა არც ერთი მომჩივანი არ დაგვრჩეს. მაიას შესაძლებლობა აქვს, ეს მიზანი შეასრულოს და ნურავინ იფიქრებს, რომ სასამართლო ვინმეს შანტაჟში დაეხმარება, რადგან თუ საკუთარ ვალდებულებას არ შეასრულებენ და თანხას არ გადაიხდიან, ქონებას ვერ მიიღებენ. მაგალითად, ბათუმის „მაგნოლიაში" ხალხი უკვე ცხოვრობს, რემონტსაც აკეთებენ და 2 000 000 აშშ დოლარის ვალი აქვთ ჩვენს მიმართ. პირადად ვიზრუნებ, რომ ყველას, ვისაც ვალი აქვს, დროულად გადაიხადოს".

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ვახტანგ რჩეულიშვილის ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს და ამ თემაზე კომენტარსაც კი არ აკეთებს, თუმცა „ოლიმპიური ვარსკვლავის" წარმომადგენელი ლელა რაზიკაშვილი ვახტანგ რჩეულიშვილის პათოსს იზიარებს და აცხადებს, რომ ერთი წლის მანძილზე, კომპანია „დექსუსი" ძალდატანებით ცდილობდა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის" მართვაში შესვლას:

„ამ პერიოდში, ,,ოლიმპიური ვარსკვლავი" დევნილი და რეპრესირებული კომპანია იყო, მეტიც, პრობლემები ხელოვნურად შეგვიქმნეს. ორი წლის განმავლობაში, პრობლემებს ვაწყდებოდით კრედიტთან დაკავშირებითაც, მაგრამ ახლო მომავალში, მშენებლობებს ჩვეულ რეჟიმში განვაახლებთ".

ამ ეტაპზე, „ოლიმპიური ვარსკვლავის" წარმომადგენლები „ქართუ ბანკისგან" 20 000 000 აშშ დოლარის სესხის მიღებას ელოდებიან, რაც შეჩერებულ ობიექტებზე მშენებლობის დასაწყებად სჭირდებათ. თავის მხრივ, „დექსუსის" გენერალური დირექტორი, გიორგი ქანანაშვილი ამბობს, რომ ორი წლის წინ, ,,ოლიმპიური ვარსკვლავის" წარმომადგენლები, ფინანსური პრობლემების მოგვარებისა და კომპანიის მართვაში აღების თხოვნით, თავად დაუკავშირდნენ. მიუხედავად ამისა, „დექსუსის" შეთავაზება ,,ოლიმპიური ვარსკვლავისთვის" მიუღებელი აღმოჩნდა და თანამშრომლობა არ შედგა. ქანანაშვილის თქმით, „ოლიმპიურ ვარსკვლავი" ბანკის კრედიტს ვერ ფარავდა და დახმარებისთვის „დექსუსს" მიმართა:

„იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე, რეაბილიტაციის მართვის გამოცდილებით, „დექსუსი" ერთადერთი კომპანია იყო, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო ბანკის ინტერესი, რათა „ოლიმპიური ვარსკვლავის" რეაბილიტაციაში, „დექსუსი" ჩართულიყო. საბოლოოდ, ჩვენი თანამშრომლობა არ შედგა, რადგან ჩვენი ფინანსური ხედვა ერთმანეთს არ დაემთხვა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მსგავს მოლაპარაკებებს, „დექსუსი" ათეულობით კომპანიასთან მართავდა, რომელთა მშენებლობები წლების განმავლობაში შეჩერებული იყო. ეს ჩვეულებრივი ჯანსაღი პროცესია და „ოლიმპიური ვარსკვლავის" დამფუძნებლებს ვურჩევთ, ამ პროცესში შეთქმულების თეორიებზე ნუ იმსჯელებენ".

სამშენებლო ბაზრის კრიზისის მიზეზი

სინამდვილეში, სამშენებლო კომპანიებში პრობლემა იმიტომ შეიქმნა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა, სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელები აიძულა, დევნილებისთვის კომპაქტური დასახლებები საკუთარი სახსრებით აეშენებინა. ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელებს დაპირდნენ, რომ მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს „მარშალის ფონდიდან" აუნაზღაურებდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სახელმწიფომ „მარშალის ფონდიდან" აგვისტოს ომის შემდეგ დაფინანსება კი მიიღო, მაგრამ ხელისუფლებამ სამშენებლო კომპანიები „გადააგდო".

„მარშალის ფონდი" არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 1972 წელს, გერმანიამ, მარშალის გეგმის საპატივსაცემოდ, ამერიკაში დააფუძნა. ფონდის შტაბ-ბინა ვაშინგტონში მდებარეობს, მაგრამ შვიდი წარმომადგენლობითი ოფისი აქვს ევროპის ქალაქებში — ბერლინში, პარიზში, ბრიუსელში, ბელგრადში, ანკარაში, ბუქარესტსა და ვარშავაში. შედარებით მცირე წარმომადგენლობები არის ბრატისლავაში, ტურინსა და სტოკჰოლმში. „მარშალის ფონდის" იმ მიზნით შეიქმნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპისთვის ფინანსური დახმარება გაეწია. ფონდის შექმნის იდეის ავტორი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალია.

დასასრული მე-4 გვერდზე

რატომ უჩივის ჯოზეფ ქეი გიორგი ვაშაძეს?!

„თუ ქეის სარჩელი უსაფუძვლო აღმოჩნდა, რაც სავარაუდოდ, ასეც იქნება, მაშინ გიორგი ვაშაძისთვის ზარალის ანაზღაურება აქეთ მოუნევს“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რამდენიმე დღეა, ნაციონალური მოძრაობა ბრიფინგს ბრიფინგზე ატარებს და დეპუტატ გიორგი ვაშაძის სახლის დაყადაღებას აპროტესტებს! რამდენიმე დღის წინ ბიზნესმენმა ჯოზეფ ქეიმ ვაშაძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და, როგორც ქეის მხარე აცხადებს, სარჩელს საფუძვლად ვაშაძის განცხადება დაედო, სადაც დეპუტატი მას საერთაშორისო თაღლითად ნათლავს.

ჯოზეფ ქეის ადვოკატის განმარტებით, მოსარჩელე მხარე ვაშაძისგან მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 50 000 ლარს ითხოვს, ხოლო თუ დეპუტატი მის ცილისმწამებლურ განცხადებებს საჯაროდ უარყოფს და ბოდიშს მოიხდის, ქეი მზადაა, საქმის წარმოებაზე უარი თქვას. ამის შესახებ განმარტება ბიზნესმენის წარმომადგენლებმა მას შემდეგ გააკეთეს, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ პოლიტიკურ დევნასა და ქეის ფინანსურ ინტერესებზე დაიწყეს საუბარი. **„ჩვენს მოთხოვნას წარმოადგენს ქეის მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადების უარყოფა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 50 000 ლარის ოდენობით. ეს თანხა კი ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების ფონდში გადაირიცხება. ჩვენი მხრიდან ამ თანხის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, გიორგი ვაშაძეს, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, ქონების გასხვისება ან იპოთეკით დატვირთვა აეკრძალა, რაც უფრო მსუბუქი უზრუნველყოფის ფორმაა, ვიდრე ყადაღა. ასე რომ, აქ რაიმე უპრეცედენტო მოვლენაზე საუბარი უადგილოა“,** — აცხადებენ ვაშაძის მოსარჩელეები და მიიჩნევენ, რომ ვაშაძის პოლიტიკური განცხადებები, რომელსაც იგი სასამართლოს მიმართ აკეთებს, სასამართლოზე პირდაპირი ზეწოლის მცდელობაა დეპუტატის მხრიდან. თავის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ვაშაძემაც მშვენივრად იცის, სასამართლო პროცესის ჩანიშვნამდე და საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, არც მას და არც მის სახლს არაფერი ემუქრება, მომხდარს, რაც მხოლოდ სასამართლო ფორმალობაა, უკვე მიღებულ გადაწყვეტილებად წარმოაჩენს და აცხადებს: **„ერთ-ერთ გამოსვლაში ქეის თაღლითი ვუწოდე და მსგავსი შეფასება მის მიმართ მხოლოდ მე არ გამიკეთებია, თუმცა სწორედ ჩემი სახლი დააყადაღეს. ჯერ სასამართლო პროცესიც კი არ ყოფილა, თუმცა ასეთი გადაწყვეტილება მაინც მიიღეს, საქმის ყოველგვარი განხილვის გარეშე. არ მეგონა, თუ ეს ხალხი ქეისთან გარიგებაზე წავიდოდა — სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლო პრაქტიკა დღემდე არ იცნობს მსგავს გადაწყვეტილებას და პირველი შემთხვევაა, როცა სარჩელის უზრუნველსაყოფად კერძო საკუთრება დაყადაღდა... ხელისუფლება ჯოზეფ ქეის ოქროს მოწმედ იყენებს სხვადასხვა საქმეებთან დაკავშირებით, ამიტომ არ ვაპირებ, თაღლითს ჩემი საცხოვრებელი ბინა დავუთმო, მით უმეტეს, ხელისუფლებას არ დავუთმობ იმას, რომ ეს ბინა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენონ“.**

როგორც დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყანას, ალბათ, საქართველოს ერთმანეთის ლანძღვა-გინებისთვის აღძრული სარჩელები ყოველდღიურად არ უნდა აკლდებოდეს, მაგრამ საინტერესოა, რატომ აირჩია ჯოზეფ ქეიმ დარტყმის ადრესატად გიორგი ვაშაძე მაშინ, როცა ბიზნესმენი დიდი სიყვარულით არც „ოცნების“ ხელისუფლებაში სარგებლობს. ქეი-ვაშაძის დაპირისპირებაში სამართლებრივი დეტალების გასარკვევად ცნობილ იურისტს, **ლევან ალაფიშვილს** მივმართეთ. მისი აზრით, დავა „საპნის ბუშტს“, მოდავე მხარეები კი ამ ბუშტზე ჩამოკიდებულ ადამიანებს ჰგვანან, რადგან ამ კონფლიქტს ქეი საზოგადოების თვალში ქულების ჩასაწერად, გიორგი ვაშაძე კი ნაციონალურ მოძრაობაზე პოლიტიკური დევნის ხაზგასასმელად იყენებს:

„ეს არის ჩვეულებრივი სამოქალაქო დავა. იმისთვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდეს და მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეს, გათვალისწინებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც შეიძლება იყოს ყადაღა, მოპასუხისთვის რაიმე მოქმედების შესრულების აკრძალვა, რაიმე მოქმედების დავალდებულება და სხვა. თუკი შეტანილია სარჩელი და მის მიხედვით გარკვეული თანხაც არის მოთხოვნილი, მოსარჩელეს შეუძლია სასამართლოს არგუმენტირებულად უთხრას — ჩემი სარჩელი ჰაერში რომ არ დარჩეს, გთხოვთ, დაადოთ მოპასუხის უძრავ ქონებს ყადაღაო. ამის შედეგად აყადაღებენ ბინას, მანქანას და ა.შ. ამისთვის სასამართლოს უნდა ჰქონდეს საბუთი, რომ ეს ქონება ნამდვილად მოპასუხეს ეკუთვნის, სასამართლოში სარჩელი უნდა იყოს შესული და მოსარჩელეს თანხა ჰქონდეს მოთხოვნილი — ანუ ეს ყველაფერი სასამართლო პროცესი კი არა, ფორმალური განხილვაა და არც ვაშაძის სახლი დაუყადაღებია ვინმეს სამუდამოდ — პროცედურულად, ეს სარჩელის უზრუნველყოფაა. სასამართლო ერთი დღის ვადაში, შინაარსობრივი განხილვის გარეშე, მხოლოდ ფორმალობის დაცვით, ვალდებულია, ან დააკმაყოფილოს ან უარყოს ეს სარჩელი. ამ ეტაპზე, ეს ყადაღა საგანგაშო არ არის — ვაშაძეს უბრალოდ ამ სახლის გაყიდვა ახლა არ შეუძლია, მაგრამ თუკი სასამართლოს მოიგებს, კანონი იქეთ განსაზღვრავს მოსარჩელის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, თუ ქეის სარჩელი უსაფუძვლო აღმოჩნდა, რაც სავარაუდოდ, ასეც იქნება, მაშინ იმის გამო, რომ ვაშაძე დაზარალდა ან პოტენციურად, შეიძლება დაზარალებულიყო, კანონი უკვე მას აძლევს საშუალებას, შეაბრუნოს სარჩელი და მოსარჩელისგან ზარალის ანაზღაურება აქეთ მოითხოვოს“.

აქ უკვე საინტერესოა, პერსპექტივაში, რა შეიძლება შეიცვალოს საქმის შინაარსობრივი განხილვის დროს და როგორ უნდა დაადგინოს სასამართლომ არის თუ არა ვაშაძის გამონათქვამი მოთხოვნილი თანხის ადეკვატური. ამასთან დაკავშირებით ლევან ალაფიშვილი განმარტავს, რომ **„სასამართლომ სწორედ ეს საკითხი უნდა დაადგინოს და ისიც კი შეიძლება თქვას, რომ თანხა 50 000 კი არა, 100 ლარით უნდა განსაზღვრულიყოო. ასეთი ყადაღები სასამართლო სისტემაში შეიძლება ყოველდღე ათასობით იდებოდეს. კანონი ნებისმიერ მოქალაქეს არჩევანის თავისუფლებას აძლევს: იჩივლოს თუ არა და ვის უჩივლოს. არ გამოვრიცხავ, ქეის საზოგადოების ყურადღების ცენტრში ამ მეთოდით უნდოდა მოხვედრა — შესაძლოა, ეს ნაციონალებისთვის დარტყმის ტალღაზე გაპოპულარულების მცდელობაა. დღეს ხომ დადებით მოვლენად ითვლება, თუ ნაციონალურ მოძრაობას ლანძღავ. შესაბამისად, ქეიმაც აირჩია, ვის წინააღმდეგ უნდა შეეტანა სარჩელი, თორემ ასე თინა ხიდაშელმაც ლანძღა ჯოზეფ ქეი საჯაროდ. ანუ ის პირი, ვისი საშუალებითაც ქეის ქულების კეთება და რეაბილიტაცია შესაძლებლად მოეჩვენა, გიორგი ვაშაძე აღმოჩნდა. გარდა ამისა, ჯოზეფ ქეი უკვე საჯარო პირია, რაკი იგი ამდენი ხანია საზოგადოების ინტერესის სფეროში მოექცა და მას თმენის მეტი ვალდებულება ეკისრება. ამიტომაც, ვფიქრობ, ქეის სარჩელს პერსპექტივა არ აქვს“.**

ანალიტიკა

სქემა, რომლითაც ნაციონალურმა მოძრაობამ სამშენებლო კომპანიები გააკოტრა

მე-3 გვერდიდან

თავდაპირველად, „მარშალის ფონდი“ ევროპის არასაბჭოური ნაწილის დახმარებას ისახავდა მიზნად. 1989 წლიდან, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, ფონდის მოქმედების არეალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით გაფართოვდა.

აგვისტოს ომის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რამაც დომინოს პრინციპით, ჯერ საბანკო სექტორი და შემდეგ უკვე სამშენებლო კომპანიებიც ჩაითრია. ცხადია, ეს პროცესი საქართველოზეც აისახა, მაგრამ შედეგები გაცილებით მძიმე აღმოჩნდა. ბუნებრივია, აგვისტოს ომის შემდეგ, კომპანიებში, მათ შორის, სამშენებლოშიც გაყიდვები მკვეთრად შემცირდა, ამას ისიც დაერთო, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელებს იძულების წესით, თითქმის მუქარით გააღებინეს არამიზნობრივი ხარჯები, როდესაც დევნილების კომპაქტური ჩასახლებები დააფინანსებინეს.

ლოგიკურია, რომ ვერც მსხვილმა და ვერც საშუალო სამშენებლო კომპანიებმა ასეთ მძიმე ფინანსურ დარტყმას ვერ გაუძლეს და რა თქმა უნდა, გაკოტრდნენ. უფრო ზუსტად, მცირე კომპანიები გაკოტრდნენ, მსხვილები კი — სულს ღაფავდნენ. არც ისე სახარბიელო სიტუაციას ისიც დაემატა, რომ მსოფლიო ბაზარზე სამშენებლო მასალები — ცემენტი, არმატურა, რკინაბეტონი გაძვირდა, 2008 წლის შემდეგ, მათი ფასი თითქმის გაოთხმაგდა. ასეთ პირობებში ამუშავდა სამშენებლო კომპანიების „გადარჩენის გეგმა“, რაც სინამდვილეში იმას ნიშნავდა, რომ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ სამშენებლო კომპანიებში, ნაციონალურმა მოძრაობამ, საკუთარი „დესანტი“ გადაისროლა.

გეგმამ არ გაამართლა, სამშენებლო კომპანიების რეაბილიტატორები, შეჩერებული მშენებლობების დასასრულებლად, დაზარალებული მოსახლეობისგან დამატებით თანხას ითხოვდნენ. ხშირ შემთხვევაში, მოთხოვნილი თანხა იმდენად არაადეკვატური იყო, რომ მენაშენეებში უკმაყოფილებამ იმატა და საპროტესტო აქციებმა ახალი ძალით იფეთქა. ადამიანს, რომელიც წლების მანძილზე საკუთარი კორპუსის მშენებლობის დასრულებას ელოდება, სულაც არ აინტერესებს, კონკრეტულად ვინ დააზარალა, მაგრამ ფაქტია, ეს არ არის ერთი კონკრეტული ჩინოვნიკის, ან თუნდაც ერთი სამშენებლო კომპანიის ბრალი, ეს წინა ხელისუფლების სისტემური დანაშაულია.

„ვერსიის“ კითხვაზე, უკავშირდება თუ არა სამშენებლო კრიზისი ვანო მერაბიშვილის მოთხოვნას, აგვისტოს ომის შემდეგ, კომპანიებს დევნილებისთვის „გეტოს“ ტიპის დასახლებები საკუთარი სახსრებით აეშენებინა, „ცენტრ პოინტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ვახტანგ რჩეულიშვილმა გვიპასუხა:

„თქვენ „გეტოებს“ უწოდებთ, მაგრამ ამ ტიპის სახლებს სპეციფიკა მსოფლიოში დიდი ხანია, არსებობს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ედუარდ შევარდნაძე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რომში გახლდით, სადაც კომპანია აშენებდა მზა რკინის კონსტრუქციებს და აფრიკაში აგზავნიდა. წარმოიდგინეთ აფრიკაში, რკინის სახლი, მაგრამ ამისგან განსხვავებით, ეს ნამდვილად სახლებია. ვანო მერაბიშვილს სამშენებლო კრიზისს კი არა, ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელის შექმნაში ვადანაშაულებ, რაც რასაკვირველია, ბიზნესს ვერ გაახარებდა. პირველ რიგში, ეს იყო კონკურენციის მოსპობა, დემოკრატიის მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია, ნაციონალურმა მოძრაობამ კი მოინდომა, რომ ორ-სამ წელიწადში, საქართველო ევროპად ექცია, რაშიც ამერიკა და ევროპაც დაარწმუნეს, რაც მოჩვენებითი იყო. სამშენებლო სფერო თუ არ იცი, დაღუპულია ბიზნესი, მაგალითად, ნავთობის ერთი შემომტანი, მეორეთი რომ შეცვალო, პრობლემა არ შეიქმნება, მაგრამ დანაშაულია, როდესაც სამშენებლო კომპანიის მართვაში სხვა შემოგყავს. „დექსუსამდე“ მაიას წინააღმდეგ ერთიორი სარჩელი თუ იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ცენტრ პოინტის“ მართვაში „დექსუსი“ შემოვიდა, საჩივრებმა შემტევი ხასიათი მიიღო. დაზარალებულები არაადამიანურ დამოკიდებულებას წააწყდნენ კომპანიის მენეჯმენტში და რასაკვირველია, ამას თავისი უარყოფითი შედეგი მოჰყვა“.

ფაქტია და ამაზე „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ თბილისის მერს, გიგი უგულავას, უშიშროების საბჭოს მდივანს, გიგა ბოკერიას, შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს, ასევე კახა ბენდუქიძეს და ნაციონალური მოძრაობის სხვა მაღალჩინოსნებსაც სამშენებლო ბიზნესში საკუთარი ინტერესები ჰქონდათ. ხშირ შემთხვევაში, ეს ინტერესები იკვეთებოდა და ინტერესთა კონფლიქტიც იქმნებოდა, რასაც ნაციონალებისთვის მიუღებელი ბიზნესმენების დაჭერა, დაპატიმრება და მათი წილების გადაფორმება ახლდა.

მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net
ობიექტური ვერსია
იპოვეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია

ვანო მაჭავარიანი: „პირდაპირ შემიძლია გითხრათ, ნინო ბურჯანაძე არაფრისგამკეთებელია, ძირითადად, პოლიტიკური ვაჭრობით გამოირჩევა და არასოდეს ყოფილა პრინციპული!“

ეროსუდან შელია
557-100-768

გაზეთ „ვერსიისა“ და მედია-კავშირ „ობიექტივის“ ერთობლივი პროექტის „ვერსიის საათის“ სტუმარი ექსპერტი ვანო მაჭავარიანი იყო, რომელმაც წინასაარჩევნო გარემო და საპრეზიდენტო კანდიდატების შანსები შეაფასა. „ვერსია“ გადაცემის საგაზეთო ვარიანტს გთავაზობთ.

— ნინო ბურჯანაძის განცხადებები — რუსეთთან ურთიერთობას დავალაგებ, „ოცნებას“ დავაბალანსებ და ნაციონალურ მოძრაობას დავიჭერო — მხოლოდ სიცრუეა. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, ეს ადამიანი არაფრისგამკეთებელია! ნინო ბურჯანაძე, ძირითადად, პოლიტიკური ვაჭრობით გამოირჩევა, კარიერის განმავლობაში არასოდეს ყოფილა პრინციპული, მაშინაც კი, როცა ნაციონალური მოძრაობიდან გამოუშვეს.

— ნინო ბურჯანაძე წინასაარჩევნოდ აქცენტს სწორედ 2008 წელს მაღალი თანამდებობიდან მის გადადგომასა და 26 მაისის რეპრესიებზე აკეთებს. პრეზიდენტის არჩევისას პოლიტიკური გამოცდილება გადამწყვეტი ფაქტორი არ უნდა იყოს?

— საზოგადოებას კარგად ახსოვს პოლიტიკოსების წარსული, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე უკვე მრავალჯერ ნანახი ფილმია. ხელისუფლებაში ყოფნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსებს რეინკარნაციის შესაძლებლობა უნდა მივცეთ. გიორგი მარგველაშვილი კი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილთან ფანტასტიკური ურთიერთობა აქვს და ეს პირადადაც არაერთხელ მინახავს, პოლიტიკაში გახლართული, გამობრძმედილი ფიგურა არ გახლავთ, რაც მისთვის დიდი პლუსია.

— გიორგი მარგველაშვილი, მართალია, საჯარო პირი არც ისე დიდი ხნის წინ გახდა, მაგრამ პოლიტიკურ კულისებში მოქმედების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ჯერ ნაციონალურ მოძრაობასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა, შემდეგ კი ნინო ბურჯანაძის მრჩეველი გახდა...

— გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკაში გააქტიურება ზურაბ ჟვანიას უკავშირდება. ზოგადად, მას აქვს უნარი, კარგად შეაფასოს, ვისთან აქვს ურთიერთობა. ნინო ბურჯანაძეს, პირველ ეტაპზე, მართლაც აძლევდა რჩევებს, მაგრამ მალევე აღმოაჩინა, რომ ამ ადამიანთან არაფერი ესაქმებოდა. ბიძინა ივანიშვილი კი, საკმაოდ სერიოზული და მიზანმიმართული ლიდერია, მისთვის უარის თქმა საკმაოდ რთულია, თანაც ალბათ ამ შემთხვევაში, გიორგიმ პრემიერის ხედვებიც მოიწონა. ნინო ბურჯანაძესა და გიორგი მარგველაშვილსაც საკმაოდ კარგად ვიცნობ, ამიტომ მაქვს იმის თქმის უფლება, რომ მათი ერთ საფეხურზე დაყენება გაუმართლებელია.

თუ ნინო ბურჯანაძეს მაღალი თანამდებობები ეკავა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერს სწორად აკეთებდა. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება სწორ დასკვნას გამოიტანს. რაც შეეხება გიორგის განცხადებას, მას ეს სერიოზულად არ უთქვამს, მაგრამ, როგორც ჩანს, იუმორი პოლიტიკოსებმა სათავისოდ გამოიყენეს. ასე რომ, რეალურად, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული უკვე გამოკვეთილია, ბრძოლა, ძირითადად, მეორე ადგილისთვის გაიმართება.

— თუ აღმოჩნდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე არასაპარლამენტო პარტიის კანდიდატი გავიდა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობა არ იკვეთება, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა პრეზიდენტის არჩევიდან რამდენიმე დღეში პრემიერი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს?

— როგორც წესი, საზოგადოების პოლიტიკური განწყობა 8 თვეში იცვლება, მაგრამ არჩევნების კონკრეტულ ვადებს კონსტიტუცია განსაზღვრავს. დიახ, ბევრია პარლამენტში ისეთი ადამიანი, რომელიც საზოგადოების აზრს სულაც არ გამოხატავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს. მოვლენებს არ გავუსწრებ, ამიტომ დაველოდოთ, რა ვითარება იქნება კოალიციაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის წასვლას, ჯერჯერობით, პრემიერი არსად მიდის. თავიდანვე ცხადი იყო, რომ პოლიტიკაში მისი შემოსვლის მთავარი მიზანი პოლიტიკური ასპარეზიდან ნაციონალური მოძრაობის განდევნა იყო. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში ან საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელად გადასვლა ვითარებას არ შეცვლის. მას ქვეყანაში ის მთავრობა და პრეზიდენტი ეყოლება, რომელიც მის აზრს იზიარებს.

— ანუ ბიძინა ივანიშვილი, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, რუხი კარდინალი გახდება?

— ამას დრო გვიჩვენებს. ზოგადად, ბიძინა ივანიშვილი ახალი ტიპის პოლიტიკოსია და სააკაშვილისა და ბურჯანაძის მსგავსად, ერთ წრეზე არ ტრიალებს, ამიტომ მგონია, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, საზოგადოებაში მის მიმართ პოზიტიური განწყობა გაიზრდება, რადგან ხალხი ნახავს, რომ სრულიად პოლიტიკური გუნდი ერთ ადამიანზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. კარგი იქნება, თუ კოალიცია ბიძინა ივანიშვილის გარშემო კი არა, საერთო იდეის ირგვლივ გაერთიანდება. ამასობაში, ქვეყანაში მუდმივი ძიძგილაობა და პოლიტიკოსებს შორის განევ-გამოწევაც უნდა დასრულდეს. გასაგებია სააკაშვილის პოზიცია, ერთი მხრივ, ის პარტიის თავმჯდომარეა, მეორე მხრივ, კი პრეზიდენტი, რომელსაც უნდა, პოლიტიკაში მისი პარტიის საქმიანობა გაახანგრძლივოს, მაგრამ პოლიტიკურ ძალებს შორის მუდმივად დაპირისპირების რეჟიმში ურთიერთობა, ქვეყანას არ წაადგება.

— ნაციონალურ მოძრაობაში არ მალავენ, რომ მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის პარტიის ხელმძღვანელი პოსტიდან გადაყენების სურვილი აქვთ. ეს გადაწყვეტილება ნაციონალებს პოლიტიკურად გადარჩენის შანსს მისცემს? სხვათა შორის, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები დიდი ხანია საუბრობენ, რომ ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას ხელოვნურ სუნთქვას უტარებს.

— ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო უმცირესობაში ადაპტაციის პერიოდს გადის და ოპოზიციაში ყოფნას ეგუება. ისინი იმასაც ხვდებიან, რომ სააკაშვილი წასული პოლიტიკოსია, ამიტომაც გამოიკვეთა დავით ბაქრაძე ახალ ლიდერად. არასერიოზულია თქმა, რომ ხელისუფლება ნაციონალურ მოძრაობას სასათბურე პირობებს უქმნის. უბრალოდ, მეტი კონსტრუქციულობაა საჭირო. ნაციონალურ მოძრაობაში მართლაც არიან კრიტიკულად განწყობილი ადამიანები. მეც დიდი ხნით ადრე მივხვდი, რომ პარტია ფატალურ შეცდომებს უშვებდა, რაც ჩვენ შორის დაპირისპირების მიზეზიც გახდა. იგივე აზრზეა ჩემი ძმაც.

— თქვენი ძმა, მიხეილ მაჭავარიანი პარტიის გადაწყვეტილებების მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი?

— მიხეილ მაჭავარიანი ამ პროცესებს საკმაოდ პრაგმატულად უყურებს. სხვათა შორის, სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდებოდა, თავად ნაციონალური მოძრაობის წევრები ხვდებოდნენ, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე არასერიოზული მიდგომით როგორც პარტიას, ისე ქვეყანასაც ზიანს აყენებდნენ. კარგად ვიცი, შიგნით იყო კიდეც საკმაოდ სერიოზული საუბარი ახალი პარტიის შექმნაზე ან კოალიციური მმართველობის ჩამოყალიბებაზე, თუმცა მაშინ პარტიაში გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა ჩათვალეს, რომ ეს არასწორი ნაბიჯი იქნებოდა. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს ადამიანები გაიქცნენ სხვებზე ადრე პარტიიდან. ნაციონალურ მოძრაობას განსაკუთრებული ზიანი მეგის ქარდავას მსგავსმა ადამიანებმა მიაყენეს, რომლებსაც თურმე, მინისაქართველო ჰქონდათ შექმნილი. ამ ადამიანებს ბევრი ერიდებოდა კიდეც.

სხვათა შორის, როცა ბიძინა ივანიშვილს არჩევნებამდე შევხვდი და მან პარტიაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა შემომთავაზა, წინა მოწვევის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატი მოვიდა და მეგობრულად მითხრა, კარგად დაფიქრდი, ახალაიებისთვის ეს ნაბიჯი რასაც ნიშნავსო.

— მუქარა გახდა მიზეზი, რომ ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობაზე უარი თქვით? თანაც, როცა მეგის ქარდავას მიერ შექმნილ ჯგუფზე მიანიშნებთ, ძნელად დააჯერებთ საზოგადოებას, რომ ამ სისტემის სათავეში მიხეილ სააკაშვილი და სხვა მაღალჩინოსნები არ იდგნენ.

— არა, უარის მიზეზი ის იყო, რომ უხერხულობა შეიქმნებოდა — ჩემი ძმა ნაციონალურ მოძრაობაში აქტიურად იყო ჩართული, თუმცა ჩემ ამ ნაბიჯს ბიძინასთან ინტრიგები მოჰყვა.

სისტემა სააკაშვილი-ადეიშვილი-მერაბიშვილის მიერ იყო შექმნილი, რომელთაგან ყველაზე აქტიური ზურა ადეიშვილი იყო. სხვათა შორის, სააკაშვილს ერთი ჩვევა აქვს — ის ყოველთვის დამოკიდებულია სხვაზე. ადრე ასეთი ადამიანი ჟვანია იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ადეიშვილი გახდა. სწორედ ის წყვეტდა ყველაფერს, ვის უნდა ჰქონოდა მიშასთან კომუნიკაცია და ა.შ. პარადოქსია, მაგრამ ადეიშვილი ისე გავიდა ქვეყნიდან, რომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმეები ჯერ კიდევ ჰაერზეა.

— მიანიშნებთ, რომ ადეიშვილმა სააკაშვილს უღალატა და „ოცნებასთან“ ითანამშრომლა?

— არაფერს მივანიშნებ, უბრალოდ, ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — ადეიშვილს სააკაშვილზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კარგად გამოჩნდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ძირითადი პრობლემა ძალოვან სტრუქტურებზე აქცენტის გაკეთება იყო. ახლაც დაახლოებით იგივე ხდება.

ფაქტია, რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის ახლო წრედ ითვლება, მაქსიმალურად ცდილობს, პრემიერთან დაახლოებულთა ჯგუფი მაქსიმალურად შეზღუდოს და მოასმენინოს ის, რაც რეალურად მათ ინტერესებში შედის. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ ხშირად პრემიერს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაცია არ აქვს.

საზოგადოებისთვის ეს ადამიანები კარგად არიან ცნობილნი, ამიტომ არ დავკონკრეტდები. არ მგონია, ბიძინა ივანიშვილს იმის ფუფუნება ჰქონდეს, რომ მუდმივად ტელევიზორს უყუროს ან გაზეთები იკითხოს. თუმცა ამ შემთხვევაში ის უფრო მნიშვნელოვანია, საქმე არ დაზიანდეს. ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის ხელში რომ არ ყოფილიყო, გაცილებით ხანგრძლივი პოლიტიკური მომავალი ექნებოდა. ახლა სააკაშვილს ისღა დარჩენია, დაელოდოს მოახერხებს თუ არა კოალიცია საზოგადოებისთვის მიცემული დანაპირების შესრულებას.

ვერსიანიუსი

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გაფიცვის გამო საქართველოში ვიზების მიღება დროებით შეზღუდულია

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გაფიცვის გამო საქართველოში ვიზების მიღება დროებით შეზღუდულია ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გაფიცვის გამო, საქართველოში ისრაელის საელჩოს საკონსულო განყოფილება მოქალაქეებს საკონსულო მომსახურებას დროებით ვერ უწევს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში ისრაელის საელჩოდან აცნობეს, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გაფიცვა დაახლოებით სამი კვირაა გრძელდება და საელჩოში ვერ აკონკრეტებენ, როდის დასრულდება ის.

ამასთან, საელჩოში არც უარყოფენ და არც ადასტურებენ, რომ გაფიცვა ხელფასების მომატების მოთხოვნით მიმდინარეობს.

ისრაელის საელჩო აცხადებს, რომ საკონსულო განყოფილება საქართველოში მოქალაქეებს საკონსულო მომსახურებას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გაუწევს. კერძოდ, ისრაელის მოქალაქეებისთვის გადაუდებელი შემთხვევების დროს, ისრაელის მოქალაქეებისთვის გადაუდებელი სამედიცინო გამგზავრების, მიცვალებულის გადასვენებისა და სუროგატების მომსახურების შემთხვევებში.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, აღნიშნულის გამო საქართველოში მოქმედი ტურისტული კომპანიები და მომლოცველთა ჯგუფები ისრაელში ტურისტული ტურების მოსაწყობად ვიზებს ვერ ღებულობენ.

„ინტერპრესნიუსი“

პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობას ვერ ხედავს

პაატა ბურჭულაძე, ამ ეტაპზე, ქართულ პოლიტიკაში მისი ჩართვის აუცილებლობას ვერ ხედავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბურჭულაძე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ბოლო დღეებში, ჩვენს ოფისში არ წყდება ზარები, გვიკავშირდებიან ჩვენი თანამემამულეები და მედიის წარმომადგენლები. გადავწყვიტე, გამოვეხმაურო ჩვენს ერთგულ ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ ინტერესს.

მინდა, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ წლების მანძილზე ვიღებდი შემოთავაზებებს, პოლიტიკურ პროცესებში ჩემი ჩართვის შესახებ, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი უარს და ჩემი ეს პოზიცია არც არასოდეს მინანია.

ბოლო დროს, ეს შემოთავაზებები ძალიან გააქტიურდა, მასში ჩაერთო ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, ასევე მომმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა.

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ადამიანს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც ამ პერიოდში პირადად გვიკავშირდებოდა თუ წერილებს გვწერდა, უღრმესი მადლობა გამოხატული ნდობისა და პატივისცემისათვის, მათ შორის, ბატონ ჯონდი ბაღათურიასა და კახა კუკავას, რომლებმაც გაახმოვანეს საზოგადოების ეს მოსაზრება.

ვფიქრობ, რომ დღეს პოლიტიკაში ჩემი ჩართვის აუცილებლობა არ დგას და იმ საზოგადოებრივი საქმიანობით, რომელსაც ვეწევი, უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. ყოველთვის ვიდექი და ვიდგები ჩემი ერის სამსახურში და თუ ჩვენ, ოდესმე, ყველანი ერთად მივიჩნევთ, რომ ჩვენს ქვეყანას სხვა სფეროში მეტად სჭირდება ჩემი ყოფნა და გამოცდილება, გპირდებით, რომ მზად ვიქები, ეს ნაბიჯი გადავდგა.“

„ვერსიანიუსი“

„დელტასა“ და თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეამოწმებს

სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტასა“ და თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეამოწმებს, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

„ფინანსური შემოწმება „დელტაში“ არ დასრულებულა. ჩვენ მოვითხოვეთ და თუ არ ვცდები, 15 ივლისიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეისწავლის როგორც „დელტას“, ასევე ჩვენი სამინისტროს ფინანსურ მხარეს. ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა და ნამდვილად არ მშურს მათი. ძალიან საჭირო, მაგრამ ბევრი საქმე ექნებათ გასაკეთებელი“, — განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ ყველა პროექტი, რომელიც „დელტაში“ მიმდინარეობს, მიმართულია იქით, რომ პრაქტიკული მხარდაჭერა გაეწიოს შეიარაღებულ ძალებს საკუთარი ამოცანის გადაწყვეტაში.

„ჩვენ გვჭირდება ისეთი პროექტები, რომელიც მათ ფუნქციისა და ამოცანის შესრულებაში დაეხმარებათ. ჩვენ, პრაქტიკულად, მთლიანად გავიტანეთ და გავწმინდეთ „დელტა“ და სამხედრო ინდუსტრია უსაფუძვლო პიარისგან. ალბათ, ეს მოხვდა თვალში საქართველოს პრეზიდენტს, რომ ვეღარ ხედავს ამდენ პიარს და ეს არაბუნებრივად დაინახა. „დელტაში“ რამდენიმე სერიოზულ პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა, რომელზეც ღიად ვერ ვისაუბრებ“.

„ინტერპრესნიუსი“

შოთა მალაშხია: „საზოგადოებას დრო სჭირდება, თანდათან რომ მიხვდეს, რა ძალა აირჩია და ვინ ჰყავს ქვეყნის მმართველად!“

ირუსუდან შელია
557-100-768

ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად გამართულ პრაიმერში მისი დასახელება საზოგადოებაში სახუმარო თემად იქცა, თუმცა თავად მიიჩნევს, რომ გამარჯვების რეალური შანსი აქვს. ნაციონალი შოთა მალაშხია „ვერსიასთან“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს და ბიძინა ივანიშვილს კონფლიქტური რეგიონების მიმართულებით პოლიტიკური კურსის შეცვლას ურჩევს.

— ნაციონალური მოძრაობის პრაიმერში თქვენი კანდიდატურის დასახელება საზოგადოებამ არასერიოზულად მიიღო და სოციალურ ქსელში ხუმრობის თემადაც იქეცით. რატომ გადაწყვიტეთ საპრეზიდენტო არჩევნებში ძალების მოსინჯვა?

— თუ პოლიტიკოსზე ინფორმაცია ვრცელდება, ნეკროლოგის გარდა, მისასალმებელია! თანაც, შესაძლოა, ეს ადამიანები სულაც არ არიან ინფორმირებულნი იმ სამუშაოების შესახებ, რაც პირადად მე, ბოლო წლების განმავლობაში განვახორციელე. განსაკუთრებით, კონფლიქტების მიმართულებით. არ ვიცი, ვინ ხუმრობს ჩემზე სოციალურ ქსელებში, თუმცა სამეცნიერო წრეში ისეთი ადამიანები მგულშემატკივრობენ, რომლებიც „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერები არიან. ამ ადამიანებმა კარგად იციან, რომ ორი წიგნი გამოვეცი „კონფლიქტები — საერთაშორისო და ეკონომიკური ასპექტები“ და „კონფლიქტების ანატომია“, სადაც საუბარია საერთაშორისო სასამართლოებსა და ამ მიმართულებით იმ პრეცედენტულ საქმეებზე, რომელიც, შესაძლოა, ჩვენ სასარგებლოდაც გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ოკუპაციის შესახებ საქართველოს მოქალაქეების მეტი ინფორმირებულობისთვის 17 დოკუმენტური ფილმი გადავიღე, რომელიც რუსულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნა. ახლა უკრაინელებიც ითხოვენ ჩემგან ნებართვას, რომ ფილმები უკრაინულ ტელევიზიებში გაუშვან.

— პრაიმერში ბოლო ადგილზე მყოფ კანდიდატს, მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, დეოკუპაციის შესახებ ფილმები და წიგნები გაქვთ?

— სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, ქვეყანაში მეორე ადგილი სწორედ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით არსებულ პრობლემებს უკავია. დიახ, ჩვენი ყველა პრობლემა რუსეთსა და ოკუპაციას უკავშირდება, რომლის სწორ რელსებზე გადაყვანაც ყველა დანარჩენ მიმართულებაში არსებული პრობლემების ავტომატურად გადაჭრას ნიშნავს. თანდათან დავამტკიცებ, რომ კონფლიქტური რეგიონების კუთხით ჯანსაღი მოსაზრებების გაჟღერების შემდეგ საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას შევძლებ. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ხელისუფლება ძალიან დიდ შეცდომას უშვებს და აფხაზეთთან რკინიგზის აღდგენაზე საუბრობს. მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, თურქი, აზერბაიჯანელი და რუსი ექსპერტებიც აცხადებენ, რომ ეს გადაწყვეტილება მომავალში სამხედრო ტვირთების გადაზიდვას ემსახურება ანუ რკინიგზის საშუალებით სომხეთის შეიარაღება განხორციელდება. მოგეხსენებათ, რეალურ საშიშროებად აღიქმება ბაქოსა და ერევანს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა, საომარი მოქმედებების შემთხვევაში, თურქეთი ღიად აცხადებს, რომ მხარს ბაქოს დაუჭერს, რუსეთი კი, ცალსახად, სომხეთის პოზიციას დაიკავებს. ასეთ შემთხვევაში, საქართველო პლაცდარმად გადაიქცევა.

— სანამ ასე მასშტაბურად განვიხილავთ რკინიგზის აღდგენას, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კიდევ ერთი შანსი იქნება აფხაზეთთან ურთიერთობის აღდგენის კუთხით?

— იმიტომ, რომ ეს ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილი არ არის. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესვლისთვის პირი 400 ლარით დაჯარიმდება და ეს ხდება მაშინ, როცა პატრიოტებს პლაკატებზე წარწერისთვის — ოკუპანტო, დატოვე საქართველოს ტერიტორია, ათასლარიანი ჯარიმა გადაახდევინეს. ამ ხელისუფლებამ არ იცის, რომ დათვს რაც უნდა ბაბაია ეძახო, ზნეს არ შეიცვლის. გარდა ამისა, რუსეთთან ორასწლიანი ურთიერთობა გვაკავშირებს და ისტორია გვაჩვენებს, რომ ყოველთვის ქართული მხარე ზარალდებოდა. რუსეთის წყალობით, ჯერ სამეფო კარი და ავტოკეფალია დავკარგეთ, შემდეგ პირველი ხელისუფლება პარიზში გააქციეს, ზვიად გამსახურდია დაამხეს...

— და რუსეთთან ურთიერთობის კუთხით ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანმა პოლიტიკამ რა შედეგი მოგვცა — ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია საზოგადოებაში.

— ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, ეუთო, გაერო-ს ასამბლეა, ნატო, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა, საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში ეთნოწმენდა განხორციელდა და აგრესორმა პასუხი უნდა აგოს. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო დონეზე წარმატებას მივაღწიეთ და რუსეთთან პირისპირ მარტონი არ აღმოვჩნდით, უკვე დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. რუსეთის მხარეს მხოლოდ ნაურუ, ნიკარაგუა და ვენესუელა აღმოჩნდა. ამ დონეზე საკითხი იაპონიამაც კი ვერ გაიტანა, რომელიც საქართველოზე პოლიტიკურად და ეკონომიკურად ბევრად მძლავრი სახელმწიფოა. ხელისუფლების ამჟამინდელი პოლიტიკა კი სრული კრახია! ივანიშვილი დღეს გაკვირვებულია რუსეთის მოქმედებებით, მაგრამ უახლოეს მომავალში უფრო დარწმუნდება, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ შერჩეული კურსი აბსოლუტურად სწორი და უალტერნატივო იყო.

— ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე გარკვეულ ჩავარდნებს მიხეილ სააკაშვილს მიაწერს, რომელიც რეალურად, საზღვარგარეთ იმ ქვეყნის ხელისუფლებას ლანძღავს, რომლის პირველი პირიც, ჯერჯერობით, თავადაა. საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნისთვის მიზანმიმართულად იმიჯის შელახვა სააკაშვილის პოლიტიკის ნაწილია?

— რუსული პოლიტიკის მხილება ყველა დონეზე უნდა მოხდეს. რაც შეეხება ქვეყნის იმიჯის შელახვას, ეს ხელისუფლებამ გააკეთა, როცა ქვეყანაში განხორციელებული ეთნოწმენდა ნაციონალურ მოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს დააბრალა. პროკურატურაში სპეციალური ჯგუფის შექმნა, იყო თუ არა 2008 წლის ომში ქართული მხარე დამნაშავე, სახელმწიფოს წინაშე წარმოუდგენლად დიდი დანაშაულია, თუმცა ეს ის პროკურატურა და ხელისუფლებაა, რომელმაც ბედუკაძე საქართველოს გმირად გამოაცხადა.

— ხელისუფლების უმრავლესობამ პროკურატურის გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა.

— როცა ბიძინა ივანიშვილმა მორალური ნიღბის მოხსნა გადაწყვიტა, მთელი გუნდი აყვა, მათ შორის, იუსტიციის მინისტრიც, მაგრამ კითხვა ჩნდება, რეალურად, რა შედეგი მოყვა მათ განცხადებებს? გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ ის აბსოლუტურად კანონიერად მოიქცა, ამიტომ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლის. ასე რომ, თუ თქვენ საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობა გსურთ, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე რომელიმე გუბერნატორს ხელი დაადეთ და თქვით, რომ ის ბავშვებს ხოცავს. თუ იტყვით, რომ ბავშვი კონკრეტულმა ადამიანმა კი არა, ნაციონალურმა მოძრაობამ მოკლა, თავდაცვის მინისტრის თანამდებობა გარანტირებული გაქვთ.

ამით, იცით, რას ნერგავს ხელისუფლება? იმას, რომ შესაძლოა, ერთ დღესაც ვიღაც პედოფილმა ვიდეოზე ბავშვების გაუპატიურების ფაქტები გადაიღოს, ხუთი წლის შემდეგ კადრები გამოაქვეყნოს და თქვას, ამას მხოლოდ ბავშვების ინტერესების დასაცავად ვაკეთებდიო ან ქალებზე მოძალადე პირმა, დანაშაულის ჩადენიდან ათი წლის შემდეგ კადრები გამოაქვეყნოს და განაცხადოს, ქალთა ფემინისტური მოძრაობა დავაარსეო. აი, ამ მორალზე გადაჰყავს „ქართულ ოცნებას“ საზოგადოება. სააკაშვილს ეს ყველაფერი რომ სცოდნოდა, დამნაშავეებს სათანადოდ აუცილებლად დასჯიდა.

— დღეს ძნელად დააჯერებთ საზოგადოებას, რომ მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაცია მაშინდელ მაღალჩინოსნებს არ ჰქონდათ, მეტიც, მათი ბრძანებით არ ხდებოდა. თანაც, სააკაშვილმა ისიც განაცხადა, მქონდა ინფორმაცია, რომ მსგავსი კადრები 2011 წელს გამოიტანესო.

— სააკაშვილმა ამის შესახებ ცალსახად არ იცოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებ, დამნაშავეებს სასტიკად დასჯიდა. კადრების შესახებ კი პრეზიდენტმა ახლახან შეიტყო. თავად კადრების გამავრცელებლებიც აღიარებენ, რომ ვიდეოჩანაწერების გავრცელების შესახებ ინფორმაციამ მხოლოდ ხუთი დღით ადრე, 15 სექტემბერს გაჟონა. ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ საზოგადოებას დრო სჭირდება იმისათვის, რომ თანდათან მიხვდეს, რა ტიპის ძალა აირჩია პირველ ოქტომბერს და ვინ ჰყავს დღეს ქვეყნის მმართველ გუნდად.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

გზების რეაბილიტაცია თუ ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანია – რას მოხმარდა ლენტეხის 18 000 000-ლარიანი ბიუჯეტი?

„ვერსიას“ ხელთ ჩაუვარდა ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ 2012 წელს, ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაფინანსება 18 005 649 ლარი იყო. არადა, რაიონისთვის, რომლის მოსახლეობა 5 000 კაცზე მეტი არ არის, 2011 წელს მხოლოდ 2 074 839 ლარი გამოყვეს. შესაბამისად, ლოგიკური ეჭვი ჩნდება, რატომ გაიზარდა რაიონის მუნიციპალიტეტის დაფინანსება 16 000 000 ლარით ზუსტად იმ წელს, როდესაც საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, ან რას მოხმარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 18 005 649 ლარი ლენტეხში? ზოგადად, ამა თუ იმ რაიონის მუნიციპალიტეტის დაფინანსება არც ისე მარტივია, მაგრამ როდესაც ადგილობრივი ბიუჯეტი საარჩევნო წელს რადიკალურად იზრდება, ლოგიკური კითხვის ნიშნებიც ავტომატურად ჩნდება. „ვერსიის“ ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, 18 005 649 ლარიდან, 14 212 934 ლარი საგზაო დეპარტამენტისთვისაა გამოყოფილი, რაც მორიგი ჟურნალისტური გამოძიების საფუძველი გახდა.

16 000 000 ლარით გაზრდილი ლენტეხის ბიუჯეტი

ნაციონალური მოძრაობის ყველაზე მსუყე, სატრაბახო თემა ქვეყნის მასშტაბით დაგებული გზებია. სხვა საკითხია, რამდენად ხარისხიანია ეს გზები, რაც შარშან, თბილისში, ძლიერი წვიმის შედეგად გამოჩნდა. იმის გამო, რომ სანიაღვრე კოლექტორები გამართული არ იყო, ძლიერმა წვიმამ დედაქალაქის ცენტრი, ორთაჭალის მიმდებარე ტერიტორია საგრძნობლად დააზიანა. ასეა თუ ისე, ნაციონალურმა მოძრაობამ გზები მართლაც დააგო, რაც ძირითადად, მსოფლიო ბანკის, გერმანიის ბანკის KFW-ს, მილენიუმის, გაეროს განვითარების პროგრამისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით განახორციელა.

ლენტეხის მაგალითზე, ეს ასე არ არის, 2012 წელს, რაიონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 14 212 934 ლარი საგზაო დეპარტამენტის ანგარიშზე გადარიცხეს. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, ლენტეხის გზების რეაბილიტაციისთვის, არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარება არ გამოუყვია. გზების რეაბილიტაციაზე მთლიანად, საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯა.

წინა მოწვევის პარლამენტში, ნაციონალური მოძრაობის ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი, მილიონერი ბიზნესმენი, გოგი ლიპარტელიანი იყო, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ისევ ყოფილი მმართველი გუნდის სახელით მონაწილეობდა. სხვათა შორის, გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ „ვერსიის“ ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, ლენტეხის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მილიონერი ბიზნესმენი იქნებოდა, თუ ჯიბეგაღლეტილი უსახური ჩინოვნიკი, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ყბადაღებული მოასფალტებული გზების დასაფინანსებლად, ყოფილ ბიზნესმენს ერთი თეთრიც არ დაუხარჯავს, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები ლენტეხში ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადებიდან და ლოგიკურია, უფრო კონკრეტულად ვნახოთ, რაში გახარჯა საგზაო დეპარტამენტმა 14 212 934 ლარი ლენტეხის რაიონში.

ოფიციალურად გამოცხადებული ტენდერები

„ვერსიის“ ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციით, ბიუჯეტიდან 2012 წელს, ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 14 212 934 ლარი იმ ტენდერებში გაიხარჯა, რომელიც საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოაცხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თანხა კონკრეტულად, გზების რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა. ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლახდილის საავტომობილო გზის 92 კილომეტრზე, მეწყერული მონაკვეთის აღდგენით სამუშაოებზე ტენდერი 2012 წელს გამოცხადდა და ბიუჯეტიდან 419 400 ლარი გამოყვეს. ოფიციალურ დოკუმენტში მითითებული არ არის ელექტრონული ტენდერის კოდი და არც ისაა აღნიშნული, რომელმა კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერში. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, შოთა მურღულიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ გზის ამ მონაკვეთის კონტრაქტორია შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“, სამუშაოები კი 2012 წელს დასრულდა.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ლენტეხი-ლახდილის საავტომობილო გზის 145-ე კილომეტრში დაზიანებული სახიდე გადასასვლელის აღდგენაზე ტენდერი 2012 წლის 12 იანვარს გამოცხადდა. სამუშაოს შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“ ასრულებს და ამ კომპანიისთვის, ბიუჯეტიდან 689 840 ლარი გამოყვეს. შოთა მურღულიამ „ვერსიას“ განუმარტა, რომ გზის ამ მონაკვეთზე სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ლენტეხი-ლახდილის საავტ/გზის 136-ე კილომეტრში, მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო ღონისძიებაზე ტენდერი 2012 წლის 12 იანვარს გამოცხადდა. სამუშაოს შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“ ასრულებს. ბიუჯეტიდან კი 357 041 ლარი გამოყვეს. შოთა მურღულიას განმარტებით, სამუშაოები 2012 წელს დასრულდა.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ლენტეხი-ლახდილის საავტ/გზის 139-ე კილომეტრში მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე ტენდერი 2012 წლის 12 იანვარს გამოცხადდა. ამჯერად, სამუშაოებს შპს „ლენტეხის საგზაო 2000“ ასრულებს და ბიუჯეტიდან 533 700 ლარი გამოიყო. შოთა მურღულიამ აგვიხსნა, რომ გზის ამ მონაკვეთზე სამუშაოები 2012 წელს დასრულდა.

საავტომობილო გზების ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლახდილი კმ69-კმ157; ლენტეხი-ბავარი კმ1-კმ24; ცანა-ზესხო კმ1-კმ7 მიმდინარე შეკეთების მოვლა-შენახვის სამუშაოებზე ტენდერი 2012 წლის 27 ივნისს გამოცხადდა. ოფიციალურ დოკუმენტში მითითებული არ არის, რომელი კომპანია ასრულებს სამუშაოებს, სამაგიეროდ, ბიუჯეტიდან 526 033 ლარი გამოყვეს. შოთა მურღულიას თქმით, გზის ამ მონაკვეთზე სამუშაოები 2013 წელს დასრულდა.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლახდილის საავტომობილო გზის კმ88+235-კმ99 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერი 2012 წლის 25 ივნისს გამოცხადდა. დოკუმენტში მითითებული არ არის, რომელი კომპანია ასრულებს სამუშაოებს, მაგრამ ბიუჯეტიდან 11 686 920 ლარია გამოყოფილი. როგორც მინისტრის მოადგილემ აგვიხსნა, გზის ამ მონაკვეთზე სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიები

ელექტრონული ტენდერის ოფიციალური კოდის — SPA 120017970 მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ საიტზე, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ 526 033 ლარი ბიუჯეტიდან შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“-ს, ხოლო ელექტრონული ტენდერის კოდის — SPA 120017737 მიხედვით, 11 686 920 ლარი შპს „სანს“ გამოუყვეს, რომელსაც სერიოჟა გვარამია ხელმძღვანელობს. 2012 წლის 6 აგვისტოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ნუგზარ გასვიანსა და შპს „სანის“ დირექტორს, სერიოჟა გვარამიას შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, რომელსაც „ვერსიამ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე მიაკვლია, მითითებულია, რომ შპს „სანმა“ სარეაბილიტაციო სამუშაოები 2013 წლის 30 სექტემბერს უნდა დაასრულოს, თუმცა „ვერსიის“ ინფორმაციით, გზის ამ მონაკვეთზე სამუშაოები შეჩერებულია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“ და შპს „ლენტეხის საგზაო 2000“, სინამდვილეში, ერთი და იგივე კომპანიაა. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აშკარად ჩანს, რომ კომპანიის რეორგანიზაციამდე, ერთი შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“ არსებობდა, რეორგანიზაციის შედეგად კი ახალი სუბიექტი შპს „ლენტეხის საგზაო 2000“ დარეგისტრირდა.

შპს „ავტოგზა ლენტეხი 99“ 2000 წლის 10 აპრილს დაფუძნდა. გენერალური დირექტორი ამირან ზურაბიანია, რომელიც 30%-იან წილს ფლობს, 14%-იან წილებს ფლობენ პარტნიორები გურამ მეშველიანი, როლანდ ქარდავა, ბუთული ხაბულიანი, გიული გასვიანი და გერასიმე ზურაბიანი. კულუარულად „ვერსიამ“ ისიც გაარკვია, რომ ამირან ზურაბიანი, ლენტეხის მაჟორიტარ დეპუტატთან, გოგი ლიპარტელიანთან დაახლოებული პირი და მისი თანასოფლელია.

რაც შეეხება შპს „ლენტეხის საგზაო 2000“-ს, კომპანია 2000 წლის 3 აპრილს დაფუძნდა, რომლის გენერალური დირექტორი ვანო ონიანია. პარტნიორები კი ვიტალი ბენდელიანი, მირზა გაზდელიანი, ომეხ ონიანი, გრიშა ქურასბედიანი, როლანდ ბენდელიანი, ვანო ონიანი და ნატო ონიანი არიან.

რაც შეეხება შპს „სანს“, ამ კომპანიასთან დაკავშირებულ სკანდალზე ჯერ კიდევ 2010 წელს ვწერდით, როდესაც ეკონომიკის სამინისტრომ ჟორდანიას სახელობის კლინიკა გაყიდა. შეგახსენებთ, რომ ეს საავადმყოფო შპს „სანმა“ იყიდა, ოღონდ ვერც ოფიციალურად, ვერც არაოფიციალურად ამ კომპანიის შესახებ „ვერსიამ“ ინფორმაცია ვერ მოიპოვა. ამის შემდეგ, „გუგლსა“ და „ყვითელ ფურცლებზეც“ ძებნა, სადაც 15-მდე, სხვადასხვა პროფილის „სანი“ ვიპოვეთ. ერთ-ერთი შპს „სანი“, რომელიც ზუგდიდშია რეგისტრირებული, ხშირად იმარჯვებდა გზების რეაბილიტაციის ტენდერებში, 2010 წელს, ჩვენს მიერ ნაპოვნი ინფორმაციით ისიც დავადგინეთ, რომ ზუგდიდში, ასფალტ-ბეტონის ქარხნის აშენებასაც გეგმავდა. მეტიც, ანაკლიაში სასტუმრო „ოქროს საწმისს“ და იახტკლუბს აშენებდა სახელმწიფოს თანადაფინანსებით. ძნელი სათქმელია, ეს ის შპს „სანია“, რომელმაც ჟორდანიას კლინიკა შეიძინა, თუ არა, მაგრამ კიდევ ერთი სკანდალი, რომელიც შპს „სანის“ უკავშირდება, უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში, 2012 წლის დეკემბერში გავრცელდა.

დასასრული მე-8 გვერდზე

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ა
საჯელმწიფო შესყიდვის შესახებ

ეტ№105-12 06.08.2012 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნუგზარ გასვიანის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთის მხრივ და შემსყიდველი პასუხისმგებლობის საზოგადოება „სანი“, მისი დირექტორის სერიოჟა გვარამიას სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „საჯელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტისა და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA120017737) საფუძველზე, ფლობთ წინამდებარე ხელშეკრულების შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლახდილის საავტომობილო გზის კმ88+235-კმ99 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება – შემდგომში სამუშაო. კლასიფიკატორის (CPV) კოდი – 45233142.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 სამუშაოს მოცულობა ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს 8 619 929.66 (რვა მილიონ ექვსასცხრამეცხრა ათას ცხრაასოცდაცხრა ლარი და 66 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 10 171 517.00 (ათი მილიონ ასსამოცდათვრამეტი ათას ხუთასჩვიდმეტი ლარი) ლარს.

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ღირებულებაში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეგულირებებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, შეტანილად შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.5 ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 28 დღის განმავლობაში.

2.6 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანხების საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შეცვლადური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი საბანაკო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.7 წარმოდგენილი თანხების საფუძველზე, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წარმოდგენილი თანხები ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.8 მიუხედავად შესაბამისი წარმოდგენილი თანხებისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.9 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უსაფრთხო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაფარვამდე.

შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.7 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები – განმარტებითი ბარათი (სპეციფიკაციები, ნახაზები)), თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან (თუ სხვი უფრო კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული), მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – 2013 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის №200122900.

ხელმოწერა
ბ.ა. ნუგზარ გასვიანი

მიმწოდებელი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სანი“, – იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №25. საიდენტიფიკაციო კოდი 220 016 113. საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბ/კ TBCBGE22, ანგარიშის № GE 50 TB 5013 5360 5010 0001.

ხელმოწერა
ბ.ა. სერიოჟა გვარამია

რომელი ჩინოვნიკების ინტერესები იკვეთება ლენტეხის გზების ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებში?

დავით უსუფაშვილი: „დღევანდელი პარლამენტი გაცილებით ხმაურიანია, ვიდრე წინა მოწვევის პარლამენტი“

„ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დღევანდელი პარლამენტი გაცილებით ხმაურიანია, ვიდრე იყო წინა მოწვევის პარლამენტი“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში მიმდინარე შეხვედრაზე, სადაც განხილვის მთავარი საკითხი პარლამენტის წევრთა პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება და ამ მიმართულებით არსებული კოდექსის გაუმჯობესება იყო.

პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ პარლამენტში აუცილებლად უნდა იყოს ცხარე დებატები, მაგრამ კოლეგების მხრიდან ერთმანეთისადმი არაეთიკური და არაკორექტული გამონათქვამები ყველაფერს წყალში ჩაყრის.

დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტის ეთიკის კოდექსის გაუმჯობესებისთვის და ამ მიმართულებით არსებული სტანდარტების უზრუნველსაყოფად მუშაობაა გასაწევი.

„განვლილი 8 თვის განმავლობაში, პარლამენტის შენობაში ძალიან ბევრ თემაზე გვქონდა მსჯელობა, დებატები, მაგრამ თუ გავიხსენებთ ეპიზოდს, როცა ჩვენ ამ საკითხზე — პარლამენტის წევრის ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებზე გვემსჯელა? ამაზე არ გვიმსჯელია და ეს ფაქტი მეტყველებს, თუ როგორი პრიორიტეტი იკვეთება საკითხის მიმართ. ვამაყობთ იმით, რომ დღევანდელი პარლამენტი გაცილებით ხმაურიანია, ვიდრე იყო წინა მოწვევის პარლამენტი. ასეც უნდა იყოს, რადგან თუ ხმაური და მწვავე დებატები არ არის პარლამენტში, მაშინ მწვავე დებატები და ემოციური გამოსვლები იწყება საზოგადოებაში, რაც ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. ვფიქრობთ, ცხარე დებატები საჭიროა პარლამენტში, მაგრამ ჩხუბის, არაეთიკური და უზრდელური გამონათქვამები ყველაფერს წყალში ჩაყრის“, — განაცხადა შეხვედრაზე დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ერთ კონკრეტულ მაგალითზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ როდესაც პარლამენტში დეპუტატს მისი რომელიმე კოლეგის გამოსვლა არ მოსწონს, საპასუხო გამოსვლისას, მას სახელითა და გვარით მიმართავს და კონკრეტული კოლეგის სახელსა და გვარს რამდენჯერმე ახსენებს. დავით უსუფაშვილის თქმით, ბევრი ქვეყნის პარლამენტში აკრძალულია კოლეგის მოხსენება სახელითა და გვარით და, ამასთან დაკავშირებით, დადგენილია ზოგადი ფრაზეოლოგია და ზოგადი მიმართვის ფორმები.

უსუფაშვილის თქმით, პარლამენტებში განსაზღვრულია იმგვარი ფრაზეოლოგია, რომ რაც უნდა მწვავე იყოს დებატები, ის პიროვნულ და პირადულ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები. იგი ორგანიზებული იყო დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ. პარლამენტის წევრთა პროფესიულ სტანდარტებთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები მომზადებული აქვს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“.

თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მიხეილ დარჩიაშვილი დაინიშნება

თავდაცვის მინისტრის მოადგილეს ლევან დოლიძეს მიხეილ დარჩიაშვილი შეცვლის. მიხეილ დარჩიაშვილი აშშ-ში საქართველოს ელჩის ყოფილი მოადგილეა. როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, შესაბამისი დოკუმენტაცია პრემიერ-მინისტრთან უკვე გაგზავნილია. ჯერჯერობით, უცნობია, იქნება თუ არა მიხეილ დარჩიაშვილი მინისტრის პირველი მოადგილე, თუმცა იგი დოლიძის სამუშაო პორტფელის ნაწილს შეითავსებს. ლევან დოლიძე, ნატო-ში ელჩის თანამდებობაზე გეგა მგალობლიშვილს შეცვლის.

„ინტერპრესნიუსი“

გზების რეაბილიტაცია თუ ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანია — რას მოხმარდა ლენტეხის 18 000 000-ლარიანი ბიუჯეტი?



თიბისი განაკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

Marjanishvili Branch
მარჯანიშვილის ფილიალი

1604/102-02

ხელშეკრულების შესრულების საბარანტიო უზრუნველყოფა
№1893135-2171127

ქ. თბილისი 6 აგვისტო, 2012 წ

ბენეფიციარი: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

გარანტი: სს "თიბისი ბანკი"

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "სანი"-მ (სს 220016113) შემდგომში „მიმწოდებელმა" ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ.88+235 – კმ.99 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შესახებ გასაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს უპირობო საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული უპირობო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებელები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე
508 576 (ხუთას რვა ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარი
და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნის შემდეგ.

წინამდებარე გარანტია ძალაშია:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე;

ბ) 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით;

იმის მიხედვით რომელი გარემოება დადგება უფრო ადრე.

სს "თიბისი ბანკი"
წარმომადგენელი — პაატა ჩიტორელიძე /

სსტროველი, 0102 თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №7
7 Marjanishvili St. 0102 Tbilisi, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 227 27 27 ფაქსი/Fax: (+995 32) 277 27 74
info@tbcbank.com.ge www.tbcbank.ge

მე-7 გვერდიდან

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შპს „სანის“ დირექტორი, სერიოჟა გვარამია ყალბი საბუღალტრო დოკუმენტების გამოყენებით, ფულადი თანხების მითვისების ფაქტზე დააკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ შპს ,,სანის“ დირექტორმა სერიოჟა გვარამიამ, საზოგადოების მთავარ ბუღალტერ ეკა ჯაბუასთან და მოლარე-ბუღალტერ ეკატერინა გოგოხიასთან ერთად, ყალბი საბუღალტრო დოკუმენტების გამოყენებით, სალაროდან 3 618 339 ლარი გაიტანა. მართალია, მოგვიანებით სერიოჟა გვარამია გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, მაგრამ ფაქტია, წლების მანძილზე, კომპანია სულ სხვადასხვა ტიპის სკანდალში ეხვეოდა.

ვისი ინტერესები იკვეთება ლენტეხის გზების ტენდერში?

საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა ლენტეხის ბიუჯეტისთვის გამოყოფილი 18 005 649 ლარიდან, 14 000 000 ლარზე მეტი საგზაო დეპარტამენტის ანგარიშზე? ან რატომ ფიგურირებს ელექტრონულ ტენდერში ერთი და იგივე კომპანია? კულუარული ინფორმაციით, ლენტეხის მაჟორიტარ დეპუტატს გოგი ლიპარტელიანს, საკმაოდ მჭიდრო კავშირები ჰქონდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ექსმინისტრთან, რამაზ ნიკოლეიშვილთან, მის პირველ მოადგილე ჯამბულ ბაკურაძესთან და საგზაო დეპარტამენტის ადრინდელ ხელმძღვანელობასთან. ამიტომ ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ გოგი ლიპარტელიანის ხელშეწყობით, ტენდერში მასთან დაახლოებულმა პირებმა გაიმარჯვეს და ბიუჯეტის თანხებიც გაინაწილეს.

იქიდან გამომდინარე, რომ გზის ზოგიერთ მონაკვეთზე, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა, შესრულებული სამუშაოების ხარისხში ეჭვს ვერ შევიტანთ. თუმცა ისიც აშკარაა, რომ წინასაარჩევნოდ, ნაციონალების მიერ, ამომრჩევლებისთვის დაყვედრებული მოასფალტებული გზები ისევ ჩვენი, ამომრჩევლების ჯიბეებიდან, ანუ ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადებიდან დაფინანსდა. არსებობს მეორე ვერსიაც, რეალურად, მართლაც ამ რაოდენობის თანხაა საჭირო გზების შესაკეთებლად, თუ 2011 წლის 2 000 000-ლარიანი ლენტეხის ბიუჯეტი, 2012 წელს 18 000 000 ლარზე მეტი იმიტომ გახდა, რომ საბიუჯეტო სახსრები ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიას მოხმარებოდა?

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი — თუ 5 000-კაციანი ლენტეხის რაიონის ბიუჯეტი 18 000 000 ლარია, ეს რაიონზეც ხომ უნდა ასახულიყო? რა თქმა უნდა, გზების დაგება უმთავრესია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ თურმე, ამ გზების რეაბილიტაციისთვის საბიუჯეტო სახსრებს იყენებდნენ და გაუგებარია, რატომ ტრაბახობდნენ ნაციონალები ამდენს. რაც მთავარია, 18 000 000 ლარი მთლიანად ლენტეხს რომ მოხმარებოდა, როგორც მინიმუმ, ქვემო სვანეთი მსოფლიოს ყველაზე ფეშენებელური და ძვირადღირებული კურორტების ტოპ-ხუთეულში უნდა შედიოდეს.

რა თქმა უნდა, ამ კითხვებს პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს, მაგრამ საეჭვოა, ამ კონკრეტულ ფაქტებზე სამართალდამცავებმა ოფიციალური მოკვლევა დაიწყონ, რადგან გლობალური კოჰაბიტაციის პირობებში, ლენტეხის მარადიული მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი, ნაციონალური მოძრაობის წევრი აღარ არის. უფრო ზუსტად, 2012 წლის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო, მაგრამ 1 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც არჩევნებში ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა, ლიპარტელიანმა მოულოდნელად დედა-პარტია დატოვა და დამოუკიდებელ დეპუტატად გარდაისახა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, **ზოთა მურღულიამ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ ეტაპზე, არავითარი ეჭვის საფუძველი არ არსებობს:

„ყველა ეს პროექტი იქამდე დაიწყო, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდით. საკმაოდ რთული მონაკვეთია, მაღალმთიანი რეგიონია და იქ ამ ტიპის სამუშაოების შესრულებაც ბევრ კომპანიას არ სურს. თუ კონკრეტულად იმ გზის მონაკვეთზე ვისაუბრებთ, სადაც სამუშაოებს „სანი“ ასრულებს, ეს მიმდინარე პროექტია. თუ კომპანია ტენდერით გათვალისწინებულ პირობებს ვერ შეასრულებს, რა თქმა უნდა, დაჯარიმდება. რაც შეეხება პროექტის ღირებულებას — 11 686 920 ლარს, აქ ღირებულება კი არა, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაა მთავარი. მაგალითად, ავტობანის ერთ-ერთი მონაკვეთი 100 000 000 ლარიც კი დაჯდა. როგორც გითხარით, ლენტეხის რაიონი რთული რეგიონია, მაღალ მთაში ტექნიკის ატანა და გზის მოჭრა ძალიან ძნელია“.

„ვერსიის“ კითხვაზე, ნაციონალური მოძრაობის რომელი ჩინოვნიკების ინტერესები იკვეთება ლენტეხის გზების ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან დაკავშირებით, შოთა მურღულიამ გვიპასუხა:

„ცხადია, ასეთ ინტერესს ვერ გამოვრიცხავთ. ხომ იცით, რა სიტუაცია იყო, ან როგორ იმარჯვებდა ესა თუ ის კომპანია ტენდერში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ ჩვენ ტენდერები ჩავშალოთ. ნაციონალური მოძრაობისგან სწორედ იმით განვსხვავდებით, რომ ბიზნესს ასე არ მოვექცევით, ჩვენთვის ის კი არ არის მთავარი, ვისი ინტერესი იკვეთება ამა თუ იმ კომპანიაში, მთავარია, როგორ ასრულებს კომპანია ტენდერის პირობებს, რამდენად ხარისხიანია მის მიერ შესრულებული სამუშაო. გარწმუნებთ, თუ სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებით ეჭვები გაჩნდება, კანონის მიხედვით, ნებისმიერი კომპანიის ხელმძღვანელი აგებს პასუხს. ამ ეტაპზე კი, არავითარი საფუძველი არ გვაქვს, თქვენს მიერ დასახელებულ გზის ამ მონაკვეთებზე, ეჭვი შევიტანოთ“.

„ვილაცის ინტერესები იყო და ხალხს აგიჟებდნენ“

დავით დევიძე
593-219-042

ზუსტად ერთი თვეა, ზესტაფონში ახალი ბაზარი გაიხსნა და ამ ამბავს სხვადასხვა წრეებში საკმაოდ მწვავე შეფასებები მოჰყვა. ერთ-ერთი ბრალდება, რაც ახალი ბაზრის წინააღმდეგ გაისმა, ის იყო, რომ გადასახადების სიდიდის გამო, თვითონ მოვაჭრეები არ აპირებდნენ ძველი ბაზრის დატოვებას და ახალში გადასვლას. თავისთავად, ეს მტკივნეული თემაა.

რა ხდება ზესტაფონის ახალი ბაზრის გარშემო?

მოგეხსენებათ, ზესტაფონის ბაზრობას, ფაქტობრივად, სტრატეგიული დატვირთვა აქვს: თითქმის მთელ საქართველოს ამარაგებს გარკვეული სახის პროდუქციით. აქ გადასახადების გაზრდა მომხმარებელთა დიდ რაოდენობასაც დააზიანებს, ამიტომ გადავწყვიტეთ, პირადად გაგვერკვია რა ხდებოდა ამ მხრივ ახლადგახსნილ ბაზარში, რის გამოც ზესტაფონის რაიონს ვეწვიეთ. აღმოჩნდა, რომ ზესტაფონში გრანდიოზული კონსტრუქციის შენობა აუგიათ, სადაც ახალი ბაზარია განთავსებული. ასეთი ტიპის ბაზარი, როგორც მოვაჭრეებმა მითხრეს, ერთადერთია საქართველოში. რაც შეეხება მის გარშემო ამტყდარ აჟიოტაჟს, ამ საკითხზე ბაზრის დირექტორი **გოჩა გიორგაძე** გვესაუბრება.

— ბაზარი ჯერ კიდევ დეკემბერში გაიხსნა, მაგრამ დატვირთვით მუშაობა 14 ივნისს დაიწყო. ძველი ბაზარი სურსათის უვნებლობის სამსახურმა დახურა, ანტისანიტარიის გამო. ჩვენს მიმართაც ჰქონდათ შენიშვნები და ამიტომ დავიწყეთ ივნისში მუშაობა, სანამ არ გამოვასწორეთ.

— აქ გამოსასწორებელი რა არის, ფაქტობრივად, გრანდიოზული სუპერმარკეტი აგიგიათ.

— მაგ მხრივ მართალი ხართ. ყოფილ საბჭოთა კავშირში არ არის ასეთი ბაზარი. რაც შეეხება დარღვევებს, ხუთი უმნიშვნელო დარღვევის გამოსწორება მოგვთხოვეს, ძველ ბაზაარს კი 16 კრიტიკული შენიშვნა მისცეს მაშინ, როცა ერთიც საკმარისია დახურვისთვის.

— მოდით, მთავარზე გადავიდეთ. ამბობენ, რომ მოვაჭრეებს აქ გადმოსვლა არ უნდოდათ გაზრდილი გადასახადის გამო.

— მე გეტყვით, რაცაა სხვაობა ძველ და ახალ ბაზრებს შორის გადასახადების კუთხით: ძველ ბაზარში ერთი კვადრატული მეტრი ფართი ღირდა 35, ზოგან 40 ლარი. მაღაზიის ფართზეა საუბარი, ჩვენთან ღირს 20 ლარი ანუ თითქმის ნახევარი. რაც შეეხება დახლებს, იქ იყო ლარიდან სამ ლარამდე, ჩვენთან კი ლარნახევარია. თანაც, გაითვალისწინეთ, რომ ამ ლარნახევარს ვახდევინებთ მოვაჭრეებს, თორემ გლეხი რომ შემოდის, ის მხოლოდ ლარს იხდის.

— კი, მაგრამ, გადასახადების გაზრდა რაღატომ დაგაბრალეს?

— მე გაჩვენებთ დოკუმენტებს. აგერ, ბატონო (მაგიდაზე მიწყობს ხელშეკრულების ფურცლებს, — დ.დ.). ეს არის ძველი ბაზრის ხელშეკრულება, სადაც წერია, რომ 11 კვ.მ გაქირავებულია 370 ლარად. ახლა ნახეთ ჩვენი ხელშეკრულება — 17 კვადრატული მეტრი 340 ლარადაა გაქირავებული. ანუ პირიქითაა ყველაფერი, მაგრამ ვიღაცის ინტერესი იყო, ის ბაზარი არ დახურულიყო და ხალხს აგიჟებდნენ. მარტო გადასახადების დაწევაშიც არ არის საქმე. ბაზრობის დროს იქ ვერ გაივლიდით — გადაკეტილი იყო მანქანის სიმრავლის გამო ქუჩები. წვიმიან ამინდში რომ შედიოდი, კოჭებამდე ტალახში იდექი. ჩვენი ბაზარი კი როგორცაა მოწყობილი, თავად ხედავთ. ჩვენი ავტოსადგომი 500 მანქანაზეა გათვლილი.

— თუკი გადასახადის ფასების დაწევა კომფორტის გაზრდასთან ერთად მოხდა, ეს მართლაც, წინგადადგმული ნაბიჯია.

— გეთანხმებით. ამ ბაზარს დიდი მნიშვნელობა აქვს იმერეთის თითქმის ყველა რაიონისთვის. ყველით კი, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს ვამარაგებთ. მალე ჩვენი სასაკლაოც გვექნება. მთავარია, რომ ასევე ყველაფერი წესრიგშია ხარისხთან დაკავშირებითაც. საქართველოში არ არსებობს ასეთი ლაბორატორია, ჩვენ რომ გვაქვს. ასე რომ, იმედია, უსაფუძვლო ბრალდებების სერია მალე დასრულდება და მთელი დატვირთვით მუშაობის საშუალება გვექნება.

რატომ არ სდებენ ლაგამს „სითი პარკის“ ყაჩაღობას?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

კანონები ადამიანებისთვის იქმნება. იმისთვის, რომ სახელმწიფოსთან, თვითონ მოქალაქეებს შორის ურთიერთობა მაქსიმალურად მოწესრიგებული იყოს, მაგრამ ამავე დროს, მიღებული კანონები სამართლიანიც უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, ის დამსჯელი მექანიზმია და მეტი არაფერი. ქვეყანაში დღემდე ისეთი კანონი და წესი მოქმედებს, რომ სამართლიანი კი არა, სამარცხვინო და დროზე მისახედია. ასეთია „სითი პარკთან“ დაკავშირებული მოქმედი რეგულაციები, რასაც ვეჭვობთ, სადმე ანალოგი ჰქონდეს. „ვერსიას“ ერთ-ერთი დაზარალებული მოქალაქე, ნიკა ფიცხელაური დაუკავშირდა.

— მსუბუქი ავტომანქანა მიკკევიჩის ქუჩის ბოლოს, დერმატოლოგიის დისპანსერთან გავაჩერე. იქ სიარული მიწევდა და ადრეც გამიჩერებია. გარშემო, ალბათ, 100 მეტრის რადიუსში არანაირი ნიშანი არ არის, რომ დგომა აკრძალულია. ჩემ გარდა, იქ კიდევ ბევრი აჩერებს და თავის საქმეზე მიდის. მაქსიმუმ, 15-20 წუთით შევედი შენობაში, გამოვედი და კინაღამ გული გამიჩერდა, მანქანა ადგილზე არ დამხვდა.

პირველი, რაც ვიფიქრე, მომპარეს-მეთქი... გაგონილი მაქვს, ბოლო ხანს რამდენიმე შემთხვევა მოხდა, როცა თბილისის უბნებში მანქანა მოიპარეს ან გაძარცვეს. აბა, სხვა რა მეფიქრა? გვერდზე მძღოლს ვკითხე, რამე ხომ არ შეგიმჩნევიათ-მეთქი, არაო. თვითონაც თურმე, ამ ადგილზე აჩერებს სულ და მსგავსი შემთხვევა არ ჰქონია, ასევე გაკვირვებული იყო. ირგვლივ მყოფმა მოქალაქეებმა სხვა ვერაფერი მითხრეს ერთის გარდა, რომ შესაძლოა, მანქანა „სითი პარკის“ ამწეს საჯარიმოზე გადაეყვანა. კი, მაგრამ, აქ შესაბამისი ნიშანი სად არის-მეთქი. ამაზე გულიანად გაეცინათ, ამას ვინ გამოეკიდება, თვალს დაადგამენ, აწევენ და წაიყვანენო.

ქუჩის მეორე ბოლოში, ყაზბეგის გამზირზე ავედი, სადაც „სითი პარკის“ ამკრძალავ ნიშანზე სამსახურის ნომერი ვნახე და დავრეკე. მანქანის ნომერი ვუთხარი თუ არა, დიახ, ჩვენთან, საჯარიმოზე დგასო. იქ ადგილზე, თვალთახედვის რადიუსში ნიშანი რატომ არ გაქვთ-მეთქი. შეგიძლიათ გვიჩივლოთო, მსგავსი შემთხვევებისთვის კარგად გავარჯიშებული ხმით მიპასუხეს. რა მექნა, მცირედ მაინც დავმშვიდდი, მოპარული არ იყო და უწყების „საიმედო ხელში“ იმყოფებოდა.

ჯიბეში კაპიკი აღარ მქონდა. სასწრაფოდ, მეუღლეს დავურეკე, ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე დაგხვდები, სამოცი ლარი, ჯარიმის გადასახდელი წამოიღე-მეთქი.

ადგილზე რომ მივედი, „წესებში“ უფრო ნათლად გამარკვიეს, როგორც ახალბედა მძღოლი. თურმე, ადგილზე დაჯარიმება დგომის წესის დარღვევისთვის, ათი ლარით შემოიფარგლება. ხოლო საჯარიმოზე გადაყვანის შემთხვევაში, ამას ტრანსპორტირების ხარჯი, კიდევ 60 ლარი ემატება. გამოდის, დამატებითი 60 ლარის ბედი, მოქალაქის სისწრაფეზეა დამოკიდებული. ასეთი უსამართლო და ბოდიშს ვიხდი, შტერული რეგულაცია სად გაგონილა? გამოდის, თუ ჩემი მანქანა ამწეზე ტყვეობაში დავაფიქსირე და გამოვეკიდე, უფლება მაქვს, ჩხუბითა და აყალმაყალით ჩამოვაღებინო და მხოლოდ ათი ლარი გადავიხადო? ან კანონსა და სამართალთან მიმართებაში, რა განსხვავებაა ჩემსა და სხვა დამრღვევებს შორის, ვინც მიასწრო და მხოლოდ ათი ლარის გადახდა უწევს? ეჭვგარეშეა, რომ ამ კანონსა და წესში, მოქალაქეებისთვის უსინდისოდ ფულის ახევა, გაღატაკებაა ჩადებული და ვიღაც ამ უკუღმართ საქმეზე ფულს შოულობს.

კარგი, მე საიდანღაც მოვატანინე ფული და გადავიხადე, ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორია სავსე იყო. დღეს, ადამიანებს ამის გადახდის საშუალებაც არ აქვთ, ამაში ხომ ეჭვი არავის ეპარება? მიდით და ნახეთ, მალე დასაყენებელი ადგილი აღარ ექნებათ. რეალურ კინოდ აქციეს ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორია.

ჰო, 60 ლარის გარდა, დამატებით ათი ლარია გადასახდელი ერთი თვის ვადაში. ამაზე, ალბათ, მადლობა უნდა ვუთხრათ დროის მოცემისთვის.

ამას გარდა, მეც და გვერდითა საჯარიმოზე მყოფმა მძღოლმაც მანქანაზე ნაკაწრი დავაფიქსირეთ. გავაპროტესტეთ და ცალკე მოვიდნენ ამ საქმის ე.წ. სპეციალისტები. ახედეს, დახედეს, ვერ დაგეთანხმებით, მაგრამ შეგიძლიათ დაჯარიმების ქვითარს ხელი არ მოაწეროთ და სასამართლოში გააპროტესტოთო. როგორც ჩანს, ეს პასუხი ასევე ბოლომდე კარგად დაუმუღამებიათ. ანუ, 60 ლარის ადგილზე გადახდის მერე, ეს პერსპექტივა საერთოდ არ აღელვებთ, რადგან კარგად იციან, რომ მოქალაქეების 99% ასეთი დროს სასამართლოში არ მიდის. ხარჯს რომ თავი დავანებოთ, აქ მოქალაქეთა ინდიფერენტულობისა და საკუთარი უფლებების დაცვისადმი გულგრილი დამოკიდებულების პრობლემაცაა.

ერთადერთი, რაც შემმოწმებლებს ვუთხარი, ასეთ უნამუსო კანონს როგორ ემორჩილებით და აღასრულებთ-მეთქი. ამაში კი დამეთანხმნენ და მითხრეს — ეს კანონი ჩვენი მიღებული არ არის, რა უნდა გავაწყოთო.

დაბოლოს, როგორც ირკვევა, კანონი 2007 წელსაა მიღებული. გასაგები ამბავია, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება რატომ არ ცვლის მოსახლეობის დღისით-მზისით დამყაჩაღებელ კანონს, სრულიად გაუგებარია. რა ინტერესები უნდა ამოძრავებდეს მთავრობას, რომ ასეთი სამარცხვინო რეგულაციები არ გააუქმოს? ეს კითხვა ბევრს აწუხებს და პასუხს მთავრობისგან ელის, რომელიც, უკვე ათი თვე გადის, ქვეყნის სათავეშია.

იმედა და ეკა კახიანებს ბინიდან იძულებით გამოასახლებენ

30 ივლისს, მსახიობ იმედა კახიანსა და მის ქალიშვილს მომღერალ ეკა კახიანს თბილისში, ვერაზე მდებარე ბინიდან გამოასახლებენ. ამოიწურა ვადა, რომელიც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კახიანების ოჯახს ბინის ნებაყოფლობით დასაცლელად მისცა. კახიანების ოჯახს ბინის დაცლა მას შემდეგ დაეკისრა, რაც უზენაესმა სასამართლომ გუდაურის ქუჩაზე მდებარე ქონების კანონიერ მფლობელად ნატალია ჭეიშვილი მიიჩნია. იმედა კახიანის ოჯახსა და ნატალი ჭეიშვილს შორის საკუთრებაზე დავა რამდენიმე წლის წინ დაიწყო.

კახიანები 2004 წლიდან, ექვსი თვით, ჭეიშვილის ბინაში კორპუსის მშენებელი კომპანიის ხელმძღვანელის თხოვნით შეასახლეს, რომელიც ბინის მფლობელს დროებით სარგებლობაში მისი ქონების გადაცემის სანაცვლოდ, ფართის გარემონტებასა და კეთილმოწყობას დაპირდა. ვადის ამოწურვის შემდეგ კი, კახიანებმა ბინა არ გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ბინის მეპატრონემ სასამართლოს მიმართა და კანონიერი გზით ეცადა საკუთრების უფლების დაცვას.

უზენაესმა სასამართლომ, 2013 წლის 12 აპრილს, ძალაში დატოვა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც, კახიანებს ბინის გათავისუფლება დაევალათ.

„აღსრულების ბიურო, უკვე 30 ივლისს, იმედა კახიანის ოჯახს იძულებით გამოასახლებს“, — განაცხადა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას ნატალია ჭეიშვილის ადვოკატმა ქეთი ქვარცხავამ.

pirveliradio.ge

„ვეფხისტყაოსნის“ უძველესი კოლექცია მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის ნუსხაში

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 94 ხელნაწერის UNESC-ს მსოფლიო საერთაშორისო დოკუმენტურ რეესტრში — „მსოფლიო მეხსიერება“ — შეტანას მიეძღვნა.

2012 წელს, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და ბოდლეს ბიბლიოთეკამ (ოქსფორდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი), UNESCO-ს მსოფლიო საერთაშორისო დოკუმენტურ რეესტრში — „მსოფლიო მეხსიერება“ შესატანად, ამ ორ დაწესებულებაში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი კოლექციის ერთობლივი, ქართულ-ბრიტანული ნომინაცია (სულ 96 ერთეული, აქედან 94 ერთეული დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ხოლო 2 ერთეული ბოდლეს ბიბლიოთეკაში) წარადგინეს.

წარდგენილმა განაცხადმა, 2013 წლის ივნისში, ყველა შესარჩევი ეტაპი წარმატებით გაიარა და ვეფხისტყაოსნის უძველესი კოლექცია მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის ნუსხაში იქნა შეტანილი. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, ბრიტანეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი დუგ მაკმილანი და საქართველოში UNESCO-ს ოფიციალური წარმომადგენელი.

„ვერსიანიუსი“

ვინ აგებს პასუხს ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე 42 ხის უკანონოდ მოჭრაზე?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

თურქეთში ერთი პარკის (ტაქსიმის) გაჩეხვის მცდელობის გამო, ასეულ ათასობით ადამიანი სტამბოლის ქუჩებში გამოვიდა და ქალაქის მესვეურთ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა. ჩვენში, ბოლო ორ ათწლეულში მთელი პარკები, სკვერები, მწვანე ზოლები განადგურდა და ერთეული გულშემატკივრების გარდა, მასობრივად, ხმა არავის ამოუღია. დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგებს დღემდე ვიმკით, როცა ქალაქის გამწვანებას ყოველდღიურად „დრუჟბით“ უტევენ და ხეს არ ტოვებენ, რომლის ჩრდილში ადამიანი სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავს და დაისვენებს. ბოლოს, ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიას მიადგნენ და ასწლოვან ხეებს განაჩენი გამოუტანეს. თუნდაც ადრინდელი დანიშნულებიდან გამომდინარე, ამ ადგილს დასასვენებელი, ადამიანებისთვის სულის მოსათქმელი სივრცის სტატუსი უნდა მინიჭებოდა, მაგრამ ხელისუფლების მესვეურნი, გადაწყვეტილების მიღებისას ელემენტარულ კრეატიულობას ივიწყებენ მაშინ, როცა საქმე დიდ ბიზნესს, ფულის კეთებას ეხება. ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე 42 ხის მოჭრასთან დაკავშირებით, „ვერსია“ უფლებადამცველ ლაშა ჩხარტიშვილს ესაუბრა.

— წინა ხელისუფლების კორუფციული გარიგებების გამო, ქალაქში გამწვანების მასშტაბი კატასტროფულად შემცირებულია. დაახლოებით ათჯერ ნაკლებია, ვიდრე ეს ევროპის ქვეყნებშია დადგენილი. ამ პირობებში, ჯერ კიდევ შემორჩენილი მცირე პარკები და სკვერები არ უნდა იჩეხებოდეს. ახალი სამშენებლო ნებართვები კი არ უნდა გაიცემოდეს, არამედ განსაკუთრებით დაცულ ობიექტებად უნდა გამოცხადდეს; აქცენტი მათ გაფართოებასა და ახალი ბაღების-სკვერების შექმნაზე უნდა კეთდებოდეს.

ნაციონალების მმართველობისას, პირიქით, ასეთი ადგილები გასხვისდა. ამის წარმმართველი ქალაქის მერია იყო, რომელიც პარკებსა და სკვერებს ასხვისებდა და მეორე მხრივ, ამ ტერიტორიებზე სამშენებლო ნებართვებს გასცემდა, თუმცა ამ საქმეში სხვა სახელმწიფო ორგანოებიც არ ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორია გაყიდულია ეკონომიკის სამინისტროს მიერ. სამშენებლო ნებართვა აქაც თბილისის მერიის მიერაა გაცემული.

ჩემი ინფორმაციით, ტერიტორია გათვალისწინებულია რვა, ოცდათვრამეტსართულიანი კორპუსის მშენებლობაზე. უზარმაზარი კვარტლის გაშენებას აპირებენ. ეს გამოიწვევს ექვსასამდე ხის განადგურებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი რაოდენობაა თბილისისთვის, სადაც მწვანე ნარგავების რაოდენობა ისედაც ძალიან შემცირებულია. ასევე, ეს საბურთალოს მასშტაბით, სერიოზულ სატრანსპორტო კოლაფსს გამოიწვევს. ამხელა კვარტლის ადგილი აქ ნამდვილად არ არის.

— ადგილობრივების პოზიცია როგორია?

— ამ ტერიტორიაზე მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგია. ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე ბაღის შენარჩუნებასა და რეკრეაციული სტატუსის მინიჭებას მოითხოვენ, რაც არ შესრულებულა... პირიქით, აბსოლუტურად ჯანსაღი 42 ხე მოჭრეს. ნახევარსაუკონოვანი ხეები უმოწყალოდ გაანადგურეს. უპირველესად, ეს მერიის დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაა, რომელმაც ამ ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვა გასცა, რაც ასე თუ ისე, ხეების მოჭრასაც უნდა ითვალისწინებდეს. სხვანაირად, აქ ამხელა კვარტალი ვერ აშენდებოდა.

— თუნდაც დამატებითი ხეების მოჭრაზე, რას ამბობენ მერიის წარმომადგენლები?

— ამ ინციდენტზე მერიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ 37 ხის მოჭრაზე ჰქონდათ ნებართვა გაცემული. არ ვიცი, რატომ შეცვალა პოზიცია მერიის გამწვანების სამსახურმა... შეიძლება შეეშინდათ, რომ ახლა მაინც პასუხი მოეთხოვებათ ჩადენილ დანაშაულზე, მაგრამ ამ ბოლო შემთხვევაში, მათი პოზიცია შედარებით ადეკვატური იყო. დაადასტურეს, რომ ხეებს ნებართვის გარეშე ჭრიდნენ.

— ახლანდელი ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა ამ პროცესში რაში მდგომარეობს?

— მისი პასუხისმგებლობა ის არის, რომ ჩვენი საჩივრები რეაგირების გარეშეა, მათ შორის, ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიასთან დაკავშირებით. არაერთხელ მივმართეთ მთავარ პროკურორს საჩივარ-განცხადებით, როგორც ამ პარკის, ასევე დანარჩენთა გასხვისების კანონიერების შესწავლას ვითხოვდით. მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი არსებულ საკანონმდებლო აქტებს ეწინააღმდეგება, მათ შორის თბილისის საკრებულოს 2002 წლის გადაწყვეტილებას. ისედაც მინიმუმამდე დასული ქალაქის გამწვანების განადგურება უპატიებელ დანაშაულს წარმოადგენს.

თუმცა ვერც ერთ შემთხვევაში, გამოძიების დაწყებას ვერ მივაღწიეთ. პროკურატურა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას გაურბოდა: ვიღებდით არასრულფასოვან პასუხებს, ან ესეც არ გვქონდა. ფსიქიატრიულის ტერიტორიის გასხვისებასთან დაკავშირებით, პროკურატურამ მოგვწერა, რომ ეს ტერიტორია ეკონომიკის სამინისტროს მიერ ყოფილა გასხვისებული, რაც პასუხს კი არა, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას წარმოადგენდა. გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლას ვითხოვდით და არა დაზუსტებას, თუ ვინ გაყიდა ტერიტორია. ეს ისედაც ცნობილი იყო.

სხვა შემთხვევებისას, კიდევ უფრო არაადეკვატური პასუხები გვაქვს მიღებული. მაგალითად, გლდანის მესამე მიკრორაიონში მწვანე ზოლის გასხვისებასთან დაკავშირებით, ჩვენი საჩივარი მთავარმა პროკურატურამ ქვემდგომ, თბილისის პროკურატურას დააწერა. ეს, თავისთავად, პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ თბილისის პროკურატურამ გადაწყვიტა და დაინტერესებულ მხარეს, მერიას დაავალა ამ საკითხის შესწავლა. მერიასვე დააწერა მისივე ქმედების კანონიერების დადგენა. ეს მხოლოდ ცინიზმის გამოხატულებაა, მეტი არაფერი, ამიტომ მივიღეთ ჩვენ დღევანდელი შედეგები. ახლა, უკვე ფსიქიატრიულის ტერიტორია გაჩეხეს, მერია შეფუცხუნდა და რაღაც დარღვევებზე დაიწყო საუბარი. ამ დროს, არაფერს ამბობენ სამშენებლო ნებართვის დარღვევით გადაცემაზე.

ვითხოვთ რეაგირებას. კონკრეტული დანაშაულია ჩადენილი, 42 ხე მოჭრილია. სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის დარღვევაა. დანაშაულს გამოძიება და კონკრეტული პირების პასუხისგებაში მიცემა უნდა მოჰყვეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი არაფერი გაბედონ.

— სად არის და რას აკეთებს ამ დროს გარემოს დაცვის უწყება?

— სამინისტროს, კანონმდებლობით უფლება აქვს, რეკრეაციული ტერიტორიების მართვის სამართლებრივ დაცვაში ჩაერთოს. ამისთვის, საკანონმდებლო ინიციატივები უნდა შეემუშავებინათ, რასაც ხათუნა გოგალაძეს ვთავაზობდით. ამ ეტაპზე მცირედ გამოცოცხლდნენ, ისიც უშედეგო მიმართულებით. ერთგვარი მედიატორის როლი იტვირთეს თბილისის მერიასა და მოსახლეობას შორის, რაც მათი საქმე საერთოდ არ არის. ამის მაგიერ მოვუწოდებ, რომ აუცილებელია, გარემოს დაცვის სამინისტრომ აღადგინოს ტერიტორიული ერთეულები, რომელიც წინამორბედმა ხელისუფლებამ გააუქმა. უნდა შექმნილიყო თბილისის გარემოს დაცვის კომიტეტი, რომელსაც თბილისის ბაღებისა და პარკების დაცვის უფლებამოსილება მიენიჭებოდა. ამის გარეშე გამოდის, რომ უგულავას სინდისისამარა ვართ დარჩენილები.

ქალაქის მთავრობა დღესაც ასხვისებს პარკებს და გასცემს სამშენებლო ნებართვებს... ეს პროცესი არ გაჩერდება, სანამ პროკურატურა დამნაშავეებს პასუხისგებაში არ მისცემს. მეორე მხრივ, გარემოს დაცვის სამინისტრომ პარლამენტში უნდა შეიტანოს მომზადებული ინიციატივა, რითაც ამ საკითხებში გადაწყვეტილების მიღების უფლება ექნება. დამახინჯებული კანონმდებლობით, სამინისტრო ამ პროცესიდან ამოვარდნილია. ამ გზით, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის უფლება, იცხოვროს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში. უმოქმედობა, გულგრილობა და არაკვალიფიციური ქმედებები, მალე ჯანმრთელი გარემოს გარეშე დაგვტოვებს.

P.S. ძაღლი ყეფს, უკანონობა-უნამუსობის ქარავანი გზას აგრძელებს. უფლებადამცველების, მოსახლეობის პროტესტს შედეგი არ მოაქვს. ყოველდღიურად, დედაქალაქში, რის ვაი-ვაგლახით შემორჩენილი ხეები, მწვანე ნარგავები იჩეხება და განმკითხავი არავინაა. ადგილობრივ აქციებზე რამდენიმე ათეული ადამიანი გამოდის, დანარჩენ მოსახლეობას ჰგონია, რომ მის აივანთან სასწაულებრივად შემორჩენილ სიმწვანეს არ მიადგებიან. ახლა, ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიას მისდგნენ და ასწლოვან ნარგავებს გადაუარეს. ეს უნდა იყოს ბოლო წვეთი, რის შემდეგაც საზოგადოება უნდა გაერთიანდეს და კატეგორიული უარი უთხრას ბუნების განადგურებაზე.

სპეციალური რეპორტაჟი აბასთუმნიდან

გუბაზ მეგრელიძე
ოთარ კვარაცხელია

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას, რომელიც 1932 წელს ევგენი ხარაძემ დააარსა, სახელოვანი ისტორია აქვს. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა და აღმოჩენა მოხდა. აქ მეცნიერთა არაერთი თაობა აღიზარდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ყოფილმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ეროვნული მეცნიერების გასანადგურებლად. დაშალა მეცნიერებათა აკადემიის სისტემა და მისი კვლევითი ინსტიტუტები სხვადასხვა ორგანიზაციებს შეუერთა. ასეთი ბედი ეწია ობსერვატორიასაც, რომელიც პრემიერ-მინისტრ ზ. ნოღაიდელის 2007 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით, ილიას უნივერსიტეტს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გადასცეს. ეს მოდელი აშშ-ს მაგალითზე შემუშავდა, სადაც მეცნიერების უნივერსიტეტებში დამკვიდრებას თავისი ტრადიციები აქვს. საქართველოში კი უკვე ჩამოყალიბებულ სამეცნიერო სისტემა ახალი ფორმით ვერ შეცვალეს და ასეთმა „ნოვაციამ“ სრული კრახი განიცადა.

ერთ-ერთი კაბინეტის ხედი

პარკეტზე ამოსული ყლორტები

დასალუპად განწირული ობსერვატორია

საქმე ისაა, რომ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები სამეცნიერო პროდუქციის 70-75% ქმნიდნენ, დანარჩენს — სასწავლო დაწესებულებები. თუ ადრე, აკადემიის ინსტიტუტებში აქედან ხდებოდა კადრების შერჩევა, ამჟამად სამეცნიერო სივრცის შეზღუდვითა და კადრების შეკვეცით, სამეცნიერო კადრების აუნაზღაურებელი დაკარგვა ხორციელდება. სამწუხაროა, რომ მეცნიერების ე.წ. რეფორმა ამ საკითხში ყოვლად გაუთვითცნობიერებელმა და არაკომპეტენტურმა, მაგრამ ხელისუფლებაში მოხვედრილმა ფსევდორეფორმატორებმა განახორციელეს და სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა.

1990-2000 წლებში არსებულ უმძიმეს სოციალ-პოლიტიკურ და მატერიალურ პირობებში, ობსერვატორია განადგურებას კი გადაურჩა, მაგრამ ამჟამინდელ ვანდალურ გარემოებებს, სამწუხაროდ — ვეღარ. ობსერვატორიის ილიას უნივერსიტეტთან შეერთება კანონის უხეში დარღვევით განხორციელდა, რადგან საამისოდ ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს 2/3, უმრავლესობის თანხმობა სჭირდებოდა. 2008 წლის 16 მაისს, რექტორ გიგი თევზაძის მიერ უზურფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებისას ეს საბჭო არ არსებობდა. ამის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კი კრიმინალურ-დანაშაულებრივი სახე მიიღო. თბილისში (ყაზბეგის №2) გასხვისდა ობსერვატორიის კუთვნილი 4-სართულიანი სამეცნიერო კორპუსი, საერთო ფართით 3000 კვ.მ, რომლის გაყიდვის ფასი დღემდე გასაიდუმლოებულია და უცნობია, რაში დაიხარჯა მიღებული თანხა. კიდევ უფრო საინტერესოა, სად წავიდა ის ძვირადღირებული ხელსაწყო-დანადგარები და პრეცეზიული ჩარხები, რომელიც პირველ სართულზე იყო განლაგებული და სად გაქრა დიდი რაოდენობის მაღალი ხარისხის ავეჯი?

ფაქტობრივად, განადგურდა ამავე შენობის პირველ სართულზე დადგმული ძვირადღირებული უნიკალური ასტრონომიული საზომი ხელსაწყო. იგი ობსერვატორიას გერმანიამ აჩუქა და საქართველოში ვიზიტისას კანცლერმა გერჰარდ შროდერმა პირადი თვითმფრინავით ჩამოიტანა. იგი გერმანელების შეკვეთით აშშ-ში დამზადდა და მისი ფასი 1 მილიონი დოლარია. ეს 3-ტონიანი ხელსაწყო ამჟამად ავტოფარეხშია გადატანილი, სადაც წყალი ჩამოდის და იჟანგება. სპეციალისტთა აზრით, იგი ძალიან მგრძნობიარეა წნევის, ტემპერატურის ცვალებადობისა და ნესტის მიმართ, რის გამოც გამოუსადეგარია. ობსერვატორიიდან გაქრა სათუთად შენახული 4 ძვირადღირებული მაღალი ძაბვის, დაახლოებით, 120.000 ლარად შეფასებული დეფიციტური სათადარიგო ტრანსფორმატორი.

ანეკდოტურ სიტუაციამდე მივიდა ილიაუნის ადმინისტრაციის უვიცური ქმედებები. მეცნიერ-დამკვირვებელთა შეკვეთით ტელესკოპებისთვის შეძენილი ძვირადღირებული მატრიცები წუნდებული აღმოჩნდა და არც არავინ დაინტერესდა, 3 წლის განმავლობაში ოთხ მუხტკავშირიან ხელსაწყოზე დღემდე რატომ არ არის მიღებული მეცნიერული შედეგი. რამდენიმე წლის წინ თანამშრომლებმა ითხოვეს 5 ცალი მაღალი შესაძლებლობების ნოუთბუკი. მართალია, ეს მოთხოვნა რექტორმა გიგი თევზაძემ დააკმაყოფილა, მაგრამ მოძველებული და მეორადი მოხმარების აღმოჩნდა და სამუშაოდ უვარგისობის გარდა, მეცნიერთა პირადი შეურაცხყოფაცაა.

ობსერვატორიის ყველაზე დიდი ტელესკოპი მწყობრიდანაა გამოსული, რომელზეც მსოფლიო მნიშვნელობის კველევების ჩატარებაა შესაძლებელი. მის აღსადგენად უცხოელმა სპეციალისტებმა 400.000 ლარი მოითხოვეს, მაგრამ გიგი თევზაძეს ამ პატრიოტული და სამეცნიერო საქმისთვის აღნიშნული თანხა ვითომდა არ აღმოაჩნდა. სამაგიეროდ, დღეღამური ექსკურსიები დაუშვა ევროპაში ერთ-ერთ უდიდეს ცეისის 40 სმ ლინზიან ტელესკოპზე. ამის შედეგად ეს ტელესკოპი მეცნიერული დაკვირვებებისთვის გამოუსადეგარია (მორყეული აქვს ძირი, რაც დაკვირვების სიზუსტეს ვერ უზრუნველყოფს) და ვერც აღდგება. ამ ტელესკოპზე შესრულებულია 5 სადოქტორო და 10-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. იგი შეუცვლელი იყო პოლარიზაციული დაკვირვებებისთვის და მასზეა შესრულებული ცნობილი მეცნიერის, მ. ვაშაკიძის გახმაურებული აღმოჩენა — კიბორჩხალის ნისლეულის პოლარიზაციაზე... ამ ტელესკოპზე ექსკურსიები ამჟამადაც ინტენსიურად ეწყობა. მხოლოდ ივნისში, სამი კვირის მანძილზე, 170 ექსკურსია მოეწყო... გაფუჭებულია უნიკალური ტელესკოპი აზტ-11, რომლის ანალოგიც მხოლოდ ყირიმის ობსერვატორიაშია.

ილიას უნივერსიტეტიდან მივლინებული ინჟინრების უშუალო ხელმძღვანელობით, აკადემიკოს ევგენი ხარაძის პირადი სამუზეუმო ბინიდან გამოყარეს მეცნიერის ავეჯი, ბიბლიოთეკა, პირადი ნივთები, რომლებიც შეყარეს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში და სინესტის, უპატრონობის პირობებში ნადგურდება. ამ ნივთების დათვალიერებისთვის ობსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თამაზ ბარბლიშვილმა თბილისთან ნებართვის აღება მოიმიზეზა, მაგრამ მდგომარეობის შესწავლა მაინც მოხერხდა. უფრო აღმაშფოთებელი ის გახლავთ, რომ ევგენი ხარაძის საცხოვრებელი ბინის სამუშაო კაბინეტში საპირფარეშო გაკეთდა.

მხოლოდ მისი ძმისშვილის, აკადემიკოს გოგი ხარაძის ძალისხმევით მოხდა ამ პროცესის შეჩერება. ბრძოლის სირთულეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა, მაგრამ მემორიალურმა ოთახმა პირვანდელი სახე მაინც დაკარგა. ამაზე მეტი ციინიზმი, არაადამიანური მოპყრობა ობსერვატორიის დამაარსებლის ხსოვნის მიმართ და ისტორიული მემკვიდრეობისადმი, წარმოუდგენელია.

ობსერვატორიის ვრცელ ტერიტორიაზე უყურადღებობის გამო ბევრი შენობა დანგრევის პირასაა. უნიკალური ბიბლიოთეკის შესასვლელთან, პარკეტზე ამოსული ხის ყლორტები ალბათ არავის უნახავს და გინესის წიგნშია შესატანი... ოთახები უპატრონოდაა მიტოვებული, ჩამონგრეული ჭერი და დახეული შპალერი უბადრუკ შთაბეჭდილებას ახდენს. ბიბლიოთეკა, სადაც 200.000-მდე დასახელების უნიკალური წიგნია შენახული, ნესტის გამო ფუჭდება. მოშლილია ორგანიზაციული სტრუქტურა. დირექცია მუდმივად თბილისში იმყოფება. ადგილზე სამდივნოს არარსებობის გამო, თანამშრომლებს განცხადების ჩატანა თბილისში უხდებათ ისე, რომ სამივლინებო ხარჯებსაც არ უნაზღაურებენ. მოუვლელია თვალწარმტაცი ტერიტორია, რომელიც საქონლის საჯირითოდ იქცა. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ილიას უნივერსიტეტისთვის გადაცემამდე, ობსერვატორიის მუზეუმის შენობის გასარემონტებლად „ქართუს“ საქველმოქმედო ფონდმა 10.000 დოლარი გამოჰყო, მაგრამ ახალმა ადმინისტრაციამ USAID-ის დახმარებით კიდევ მოიპოვა თანხები და უკვე თითქმის დამთავრებული რემონტი თავიდან დაიწყო...

ახლა სამეცნიერო საკითხებსაც გადავხედოთ, სადაც სრული ქაოსია. ობსერვატორიაში არ არის სამეცნიერო საბჭო, არ ტარდება მკვლევართა კონკურსი და დირექტორის ფუნქცია თევზაძის ადმინისტრაციამ მკვეთრად შეზღუდა. ობსერვატორიის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ ასტრონომიაში პროფესორებად არჩევა განპირობებულია გიგი თევზაძის სიმპათიებით. ამიტომაც ხდება სამეცნიერო ხარისხის არმქონე, ნაკლებ კვალიფიციური პირის „გაპროფესორება“. ობსერვატორიის თანამშრომლებმა განცხადებით (2010. 4. 03.) მიმართეს გ. თევზაძეს, აეხსნა, 2010 წლის 18 თებერვალს როგორ განხორციელდა 2009 წლის 30 ოქტომბერს დადებულ შრომით ხელშეკრულებაში ხელფასების მომატებასთან დაკავშირებული ცვლილებები. პასუხად (2010. 26. 03. №01-1505) ასეთი აბსურდული განმარტება მიიღეს: **„... ობსერვატორიაში არ ჩატარებულა მკვლევართა ატესტაცია, არამედ მოხდა მათი პოტენციალის შეფასება საერთაშორისო ნორმებით მიღებულ სამეცნიერო პროდუქციაზე დაფუძნებული გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით“.**

მართლაც, ძნელი გასაგებია ადმინისტრაციის აღნიშნული „მეთოდოლოგია“, რომელიც სამეცნიერო კვლევებს საბაზრო პროდუქციად აღიქვამს და ხელფასებს თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებს. შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად სამეცნიერო გრანტებია დასახელებული. სწორედ გრანტში მონაწილე მაღალი რანგის ასტრონომები ომარ კურტანიძე, ლორანდ სიგუა და მარინა ნიკოლაიშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს ადმინისტრაციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და საკუთარი შეხედულებების გამოთქმისთვის.

საგანგაშოა, რომ ილიას უნივერსიტეტის ასტრონომიის სპეციალობით ბაკალავრი სტუდენტები არ არიან. სამაგიეროდ, არის 12-მდე მაგისტრი და დოქტორანტი, ისიც სხვადასხვა სპეციალობის (ფილოლოგი, ჟურნალისტი, ეკონომისტი), რომელთაც 11 ლექტორი უკითხავს ლექციებს, თანაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით. სამაგიეროდ, ობსერვატორიის უფრო მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერებს 2013 წლამდე 4-5 ჯერ ნაკლები ხელფასები ჰქონდათ. ასეთი სხვაობა იმიტომაა, რომ უნივერსიტეტის ლექტორები გ. თევზაძისადმი ერთგულებით გამოირჩევიან და მხარს უჭერენ ობსერვატორიის თევზაძისეულ გაპარტახების გეგმას.

გიგი თევზაძის უბადრუკ ხელმძღვანელობაზე მეტყველებს ისიც, რომ სამ წელიწადში ობსერვატორიის სამი დირექტორის გამოცვლა მოუხდა. მორიგი დირექტორის დანიშვნისას, რექტორს 4 მეცნიერებათა დოქტორი შეხვდა. მათ ურჩიეს, მორიგი შეცდომისგან თავი დაეზღვია და ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილებისა და უფერული მეცნიერის კანდიდატურისგან თავი შეეკავებინა, რაზეც რექტორმა დაუფარავად განაცხადა: **„სულ არ მაინტერესებს მისი პიროვნება. მან პირობა მომცა, თქვენს ყველა დავალებას შევასრულებო. ზუსტად ასეთი ადამიანი მაწყობს და უნდა დავნიშნო“** და კაბინეტიდან დაუმშვიდობებლად გამოისტუმრა. სწორედ მან, ვასილ კუხიანიძემ, რექტორის ბრძანებითა და პოლიციის დახმარებით, ობსერვატორიის ბინებიდან 10-მდე ოჯახი გამოასახლა და ავეჯი გარეთ გამოუყარა, ბინები დალუქა. უკვე სამი წელია, ზოგი ბინა არც გაუღიათ. ამ ბინებში პენსიონერი თანამშრომლები და გარდაცვლილ თანამშრომელთა ოჯახები ცხოვრობდნენ.

დღემდე გახმაურებულ ამბად რჩება ობსერვატორიის ლაბორატორიულ-სამეცნიერო კორპუსის სასტუმროდ გადაკეთება. თანამშრომლებს ნონსენსად მიაჩნიათ რექტორის საჯარო განცხადება ობსერვატორიაში განხორციელებულ 2,5 მილიონი ლარის ინვესტიციებზე მაშინ, როდესაც მეცნიერთათვის საჭირო 70 სმ. მენისკურ ტელესკოპზე ერთი ლარიც არ დახარჯულა.

დასასრული მე-12 გვერდზე

სპეციალური რეპორტაჟი აბასთუმნიდან

AZT-11-ის დაჟანგული კორპუსი

მე-11 გვერდიდან

მათი აზრით, ეს საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად იყო გამიზნული. თანხის ნაწილი სასტუმროს მოწყობასა და მეორეხარისხოვანი ტელესკოპების შენობების უხარისხო შეკეთებას მოხმარდა, დანარჩენი თანხის დადგენას ისინი კონტროლის პალატისა და პროკურატურისგან ელიან.

სასტუმრო 2009 წლიდან ფუნქციონირებდა. პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ბრძანებით (№203. 2012. 8. 06), 2012 წლის ივნისში არაკომერციულ იურიდიულ პირად გადაკეთდა და აეკრძალა ფინანსურ-კომერციული საქმიანობა. მიუხედავად ამისა, სასტუმრო კიდევ ერთი წელი უკანონოდ ფუნქციონირებდა და 2013 წლის მაისში შეწყვიტა მუშაობა. საკითხავია, რა საბაბით დაიწერა ეს ბრძანება და რა მიზანი ჰქონდა ამ სტრუქტურულ ცვლილებას. ამ კითხვას პასუხი გასცა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ვანო კილურაძემ. მისი აზრით — გიგი თევზაძემ სახელმწიფო ქონების დასაუფლებლად გამოიყენა უმაღლესი სასწავლებლის საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან, არაკომერციულ კერძო სამართლის იურიდიულ პირად შეცვლის მზაკვრული გეგმა.

ნათელი გახდა მოსალოდნელი ზიანიც. უმუშევარი რჩებოდა სასტუმროს მომსახურე პერსონალი და დაცვის თანამშრომლები. სულ 25 კაცი, რომელთა უკან 100 სულამდე ოჯახის წევრები იდგნენ. სამაგიეროდ, პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა სამუშაო ადგილების გაზრდით ატყუებდა ხალხს და საარჩევნო დივიდენდების მოპოვებას ცდილობდა. მალევე, თანამშრომლებმა შეიტყვეს, რომ ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ავეჯისა და ინვენტარის გატანას აპირებდა. თანამშრომლები ეჭვობდნენ, რომ ავეჯი ბიუჯეტის ხარჯზე იყო შეძენილი და ობსერვატორიის კუთვნილება უფრო იყო, ვიდრე უნივერსიტეტის. ამიტომაც წინააღმდეგობა გაუწიეს ავეჯის წასაღებად ჩამოსულ თევზაძის 4 -კაციან „დელეგაციას“. ამ ადმინისტრაციული დარღვევისთვის რექტორმა ობსერვატორიის თანამშრომლებს ო. კვარაცხელიას, ლ. სიგუას, ე. ჯანიაშვილს და ე. გოდერიძეს პარასკევს საღამოს გაგზავნილი ბრძანებით, ორშაბათს 15 საათამდე ახსნა-განმარტებითი ბარათის დაწერა მოსთხოვა, რისი გაკეთებაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ამ საკითხის გადასაწყვეტად თანამშრომლებმა, 2013 წლის 5 ივნისს განცხადებით მიმართეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გ. მარგველაშვილს. სამწუხაროდ, პასუხის ნაცვლად, მეორე დღეს, 6 ივნისს გ. თევზაძემ ავეჯის წამღებთა ჯგუფი გააგზავნა. მხარეებს შორის დაპირისპირება არ მომხდარა და სთხოვეს, გ. მარგველაშვილის პასუხის მოსვლამდე მუშაობა შეეჩერებინათ, ასევე განემარტათ, ავეჯი ბიუჯეტის სახსრებით თუ არ იყო შეძენილი, სათანადო ანგარიში წარმოედგინათ. მაშინ გ. თევზაძემ ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თ. ბარბლიშვილს პოლიციის გამოძახება უბრძანა. კანონით, პოლიციას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ტერიტორიაზე შესვლა არ შეეძლო, მაგრამ აქტიურობით თავი „გამოიჩინეს“ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსმა რეზო მუმლაძემ, ადიგენის პოლიციის უფროსმა გელა კოხოძემ და აბასთუმნის პოლიციის უფროსმა ოლეგ ალბორიშვილმა. ასევე, გაუგებარია, რატომ დასაჯა რექტორმა ობსერვატორიის ზემოთ აღნიშნული თანამშრომლები ადმინისტრაციული სასჯელით — საყვედურით, როცა მათ არც წესრიგი და არც კანონი არ დაურღვევიათ და ობსერვატორიის ინტერესებს იცავდნენ.

თანამშრომლები პასუხს ითხოვენ იმასთან დაკავშირებით, თუ სად წავიდა ძველი ავეჯი, ან რატომ უნდა დარჩენილიყო ოთახები ცარიელი, როდესაც სასტუმროს შემოსავალს ავეჯის ღირებულება უნდა გაექვითა და ილიას უნივერსიტეტს ობსერვატორიის საკმაო ვალიც ჰქონდა. მით უმეტეს, როცა გ. თევზაძე თავის ინტერვიუში ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ აცხადებდა — ავეჯი სხვა რეგიონულ კვლევით ცენტრებში გადანაწილდებაო. ნუთუ, რექტორი ობსერვატორიას ასეთ ცენტრად არ თვლიდა? განა, ამის გაჭირვება ჰქონდა წელიწადში 30 მილიონის მქონე უნივერსიტეტს?! „გიგი რექტორი“ კი ამავე ინტერვიუში ურცხვად აცხადებდა: „ამბობდნენ, რომ დავღუპავდით ობსერვატორიას, არადა, ნახევარ მილიონამდე ლარით ვაფინანსებთ, სასტუმროც გავაკეთეთ სამეცნიერო კონფერენციებისთვის, მაგრამ კონფერენციები იქ ვერ ტარდება, შორია. თვითონ კი არ არიან მონდომებულები. უნივერსიტეტთან ერთიანობის აღქმა არ აქვთ... აბასთუმნის ობსერვატორიის საკმაო ნაწილი — მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობისაა. უნივერსიტეტი კი ნამდვილად არ უნდა ხარჯავდეს ფულს ისტორიული ძეგლების შენახვაზე“.

პატივცემული რექტორი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. ჯერ ერთი, აღიარებს, რომ ობსერვატორია დაღუპა, რომელსაც თურმე მხოლოდ ისტორიული ღირებულება ჰქონია და უგულებელყო მიმდინარე სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა. სასტუმრო კონფერენციებისთვის კი არა, კომერციული მიზნით გახსნა. განა იმის განსაზღვრას რა უნდოდა, სიშორის გამო შეიძლებოდა თუ არა კონფერენციების ჩატარება. თანამშრომლებსაც დაუმსახურებლად საყვედურობს, რადგან ისინი ობსერვატორიის ინტერესებსა და საკუთარ თავმოყვარეობასაც ვაჟკაცურად იცავდნენ. ამიტომაც უკვირს ყველაფრის მკადრებელ გიგის, რომ ჯერ კიდევ არიან პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც, მისგან განსხვავებით, ეროვნული ინტერესები ამოძრავებთ. სირცხვილია, რომ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოს გივი თევზაძის ვაჟს მეცნიერების მნიშვნელობა არ ესმის, პირადი მიზნებისთვის საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ცენტრს მხოლოდ ისტორიულ ძეგლად აფასებს და ხელს უწყობს მის განადგურებას.

შექმნილ ვითარებაზე კომენტარი ვთხოვეთ ობსერვატორიის ყოფილ დირექტორს, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოს მდივანს, ცნობილ მეცნიერს, ბატონ **ჯუმბერ ლომინაძეს**: **„სამეცნიერო ინსტიტუტების უმაღლეს სასწავლებლებთან მექანიკური გაერთიანება გაუმართლებელი იყო და უამრავი წინააღმდეგობა შექმნა.**

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამგვარი მექანიკური გაერთიანების რეალური მიზანი იყო, კვლევითი ინსტიტუტების ქონების გადაცემა ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფისთვის, რაც წარმატებით განხორციელდა. რა თქმა უნდა, ამ პროცესს არავითარი კავშირი არა აქვს სამეცნიერო სისტემის გაჯანსაღებასთან. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ამ პროცესის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია.



AZT-11

ობსერვატორიის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან აბსოლუტურად უკანონოდ მიერთების შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში, საიდუმლოდ გაიყიდა თბილისში, „ყაზბეგის №2“-ში მდებარე ობსერვატორიის ლაბორატორიის ოთხსართულიანი შენობა. ობსერვატორიის თანამშრომლებმა ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, როცა ახალმა მფლობელმა შენობის დაცვლა მოითხოვა. ამის შემდგომ, ერთი წლით მეცნიერ-თანამშრომლები ახალ შენობაში გადაიყვანეს და ამჟამად განთავსებულნი არიან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის რამდენიმე ოთახში.

არადა, შენობის დაკარგვისა და თანამშრომელთა სამუშაო პირობების მკვეთრი გაუარესებისა, ამ ყიდვა-გადასვლებს შეეწირა საკმაოდ კარგად აღჭურვილი არაწრფივი დინებების ლაბორატორია, სანაგვეზე იქნა გადაგდებული თბილისის ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის, გერმანიის მთავრობის მიერ საჩუქრად გადმოცემული ძვირად ღირებული ხელსაწყო.

ასეთივე „მზრუნველობა“ გამოიჩინა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ობსერვატორიის ლაბორატორიული კორპუსის სასტუმროდ გადაკეთებისას, მაგრამ ტელესკოპებზე ზრუნვა არ გახსენებიათ.

ობსერვატორიაში აღარ არსებობს სამეცნიერო საბჭო, რის გამოც ასტროფიზიკური პროექტების ფასეულობაზე დასკვნას აკეთებს უნივერსიტეტის დეკანთა საბჭო, რომლის კომპეტენცია აღნიშნული მეცნიერების დარგში ნულია. მთლიანად მოშლილია ობსერვატორიის ინფრასტრუქტურა.

მეცნიერ-მუშაკების მიმართ უდიერი დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითია რექტორის მიერ, მისთვის მიუღებელი ასტრონომ-დამკვირვებლის ო. კურტანიძის უკანონო განთავისუფლება, რომლის სამეცნიერო მონაცემები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც ძალიან მაღალია და რომელსაც ენთუზიაზმით იწვევენ უცხოეთში.

ყოველივე ზემოთქმული, არ ნიშნავს იმას, რომ ბოლო წლებში ობსერვატორიის თანამშრომლების მეცნიერული საქმიანობა მოიშალა. მეცნიერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უცხოურ უნივერსიტეტებს მიაშურა და მოიპოვეს კიდეც კვლევების დაფინანსება. აქვთ წარმატებაც, რომელსაც მიიწერს მხოლოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ისევე, როგორც მასთან მიერთებული სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტების ათწლეულების მანძილზე შექმნილ სამეცნიერო მიღწევებს (საბჭოთა „პრიპისკის“ ტრადიციების მსგავსად)“.

ამავე პოზიციას იზიარებენ ობსერვატორიის თანამშრომლებიც, რომლებმაც საინტერესო დეტალებზე ისაუბრეს. მკითხველს მათ მოსაზრებებს ვთავაზობთ, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ობიექტურად შეაფასონ შექმნილი მდგომარეობა.

ელდარ გოდერიძე: **„აქ 43 წელია ვმუშაობ. წლების მანძილზე ვიყავი ობსერვატორიის მთავარი და წამყვანი ინჟინერი. გიგი თევზაძემ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნების საარჩევნო შტაბში მონაწილეობისა და ობსერვატორიიდან ავეჯის გატანის დროს თანამშრომელთა მხარდაჭერისთვის უფროს ელექტრიკოსად ჩამომაქვეითა (სხვა ახსნა მათ ქმედებას არ აქვს) და ხელფასიც 100 ლარით შემიმცირა. ამით, გ. თევზაძემ შრომითი ხელშეკრულება ერთი თვით ადრე დაარღვია. მას შემდეგ, რაც ილიას უნივერსიტეტს შევუერთდით ტელესკოპები დაიჟანგა, შენობები ურემონტოა, ჩამოიქცა ევგენი ხარაძის სამუშაო კაბინეტი, სამუშაო ოთახებში წყალი და კანალიზაცია არ არის, არაძირითადი ტელესკოპების შენობები კოსმეტიკურად შეღებეს, რითაც მდგომარეობა არ გამოსწორებულა და უცხო თვალის მოსატყუებლადაა გამიზნული. ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი ავტომატური ტელესკოპი აზტ-11 უმოქმედოდაა, რომლის ღირებულებაც 1970-იანი წლებში 7-8 მილიონ მანეთს შეადგენდა. შარშან ობსერვატორიაში ჩეხი სპეციალისტები იყვნენ ჩამოსულები, რომლებმაც მისი მოდერნიზაციისთვის 200.000 ევრო მოითხოვეს, მაგრამ გ. თევზაძემ ფულის უქონლობის გამო უარი განაცხადა. საერთოდ, 10 ტელესკოპიდან რეალურად მხოლოდ ერთი მუშაობს, რაც სამეცნიერო მუშაობას აფერხებს და საგანგაშო ვითარებას ქმნის“.**

ელდარ ხუციშვილი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი): **„შარშან ობსერვატორიის ბიუჯეტი 220.000 ლარი იყო. წელს კი 110.000 გაგვიხადეს უსახსრობის მოტივით. ამის გამო თანამშრომლებმა საქართველოს პარლამენტსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იჩივლეს. ამის შემდეგ, დირექციამ გეგმები მოითხოვა და გადაწყდა, რომ ობსერვატორიას 830.000 ლარის ბიუჯეტი სჭირდებოდა. ეს თანხა სახელმწიფომ გამოყო და ილიას უნივერსიტეტის ბიუჯეტში ჩაირიცხა. მისი გადანაწილება თანამშრომლებზე ობსერვატორიის დირექტორმა მაია თოდუამ მოახდინა. გ. თევზაძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ ობსერვატორიისთვის 2,5 მილიონი ლარი დახარჯა. ნაწილი სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა, ერთ-ერთი ლაბორატორია სასტუმროდ გადაკეთდა, უხარისხოდ გარემონტდა სამზეო დიდი 53 სმ. ტელესკოპის შენობა. 5 შუქმიმღები კამერის შესაძენად 150.000-ის ნაცვლად, 130.000 დოლარი გამოიყო. ომარ კურტანიძე ამერიკის ქარხანას დაუკავშირდა და კამერების შეღავათიან ფასში შეკვეთა სთხოვა. ინვოისი 105.000 დოლარზე მოვიდა. გ. თევზაძემ ეს შეღავათიანი პირობები არ გაითვალისწინა და შეიძინა სხვა ფირმის 5 მოძველებული კამერა, რომელთა მუშაობისთვის ნოუთბუკები იყო საჭირო და ამჯერადაც მეორადი კომპიუტერები მოგვცეს. ასე უყურებს თევზაძე სამეცნიერო საქმის განვითარებას. მოიშალა სამეცნიერო სტრუქტურები — არ არის სამეცნიერო საბჭო, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებები, საქმის საწარმოო კანცელარიას, არ ტარდება მეცნიერ-თანამშრომელთა კონკურსები. გასული წლის 5 დეკემბერს მივმართეთ პარლამენტს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა შუამდგომლობა გაეწიათ მთავრობასთან უკანონოდ ჩამორთმეული სახელმწიფო საჯარო იურიდიული პირის აღსადგენად“.**

გივი ქიმერიძე (მკვლევარი): **„სამი წელია ვითხოვთ აპარატურის მიღებას, რომელიც ხელს უწყობს ტელესკოპის მუშაობას. ამის გამო ორ სამეცნიერო ჯგუფს მუშაობაში ხელი ეშლება. გასაკვირია, რომ უფრო ძვირადღირებული უვარგისი აპარატურა შემოიტანეს, მაგრამ ვერ გავიგეთ, რატომ თქვა ადმინისტრაციამ უარი იაფ ამერიკულ მოწყობილობებზე. საინტერესოა, რომ ყოფილი ადმინისტრაციის უფროსის სერგო რატიანის წლიური ხელფასი 72.000 ლარს შეადგენდა, გიგი თევზაძესაც გაცილებით მეტი ექნებოდა, რომელთა საერთო ჯამი ობსერვატორიის ბიუჯეტს აჭარბებდა. გამოსარკვევია ისიც, რომ სასტუმროს გახსნის შემდეგ სამოქალაქო ომის დროს შენარჩუნებული ობსერვატორია ოთხჯერ გაიქურდა, მაგრამ საქმე დღემდე გაუხსნელია“.**

ასეთი რთული ვითარებაა „ისტორიულ“ ობსერვატორიაში, რომლის განზრახ განადგურების გეგმა დღემდე ხორციელდება. აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფრო აქტიური ჩარევა და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. გვაფიქრებს სამინისტროს ინდიფერენტიზმი, რომლის იურიდიული და ადმინისტრაციული ძალისხმევასაც მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია. ალბათ უფრო უნდა გააქტიურდეს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტიც.

1. მადლობის გამომხატველი სიტყვა იაპონიაში
2. სამეჯლისო ცეკვა
3. თბილისის საკათედრო ტაძარი
4. მოულოდნელი შემოწმება
5. უმაღლესი შედეგი სპორტში
6. ივივეა, რაც საწინდარი
7. აკრძალვათა სისტემა პირველყოფილ ხალხებში
8. ესპანე-ლის და ინდიელის შთამომავალი
9. დენის ძალის საზომი ერთეული
10.ნიმფა თევზისბოლოიანი ქალის სახით
11. ირმების სახელწოდება ჩრდილოეთ ამერიკაში
12. ლორწოვანი გარსის ზედაპირული წყლული
13. სათავგადასავლო ტელეშოუ „ფორტი ...“
14. ვარდოზისთვე
15. ჩინეთის ქალაქ კულჯას მეორე სახელწოდება
16. „ფიატის“ მოდელი
17. ალ. დიუმას „დედოფალი ...“
18. ქანცი, არაქათი
19. აგამემნონის ასული
20. ... ზელვეგერი
21. სამი მუსიკოსი
22. პატარა ხორთუმის მქონე ცხოველი
23. ხორცის უძვლო ნაჭერი
24. ტროას მეორე სახელწოდება
25. ქვეყნის ნაწილი
26. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
27. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი
28. ადამიანის გაძევება სახელმწიფოდან
29.შეჯიბრება მცირე დისტანციაზე სირბილში
30.ყურით აღქმული ბგერა
31. ამაზონის მტაცებელი თევზი
32.მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე
33. რუსი ფიზიკოსი, რადიოს გამომგონებელი
34. ნადირობა აფრიკაში
35. ტბა იტალიაში
36.მანძილის საზომი ერთეული ძველ საქართველოში, უდრიდა 6-7,5 კმ-ს
37. ივივეა, რაც ნავსი
38. მოგზაური ... პოლო
39. ზრდილობიანი დასტური
40. თმის მცენარეული საღებავი
41. ალ. ტოლსტოის ფანტასტიკური რომანი
42. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება, უნარი
43. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
44. ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული ორი რომანი
45. „ამომავალი მზის ქვეყანა“
46.პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
47. კათოლიკური ლოცვა „..., მარია!“
48. მუს. გამის პირველი ბგერა
49.ნოტის ხანგრძლიობის გამზრდელი ნიშანი
50. „სხვა მე“ ანუ „... ეგო“
51.რადიოაქტ. ქიმ. ელემ.
52.ადამიანის ზედა კიდური
53. ხეხილი წვნიანი ნაყოფით
54. წყლის ნიმფა ბერძნულ მითოლოგ.
55. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
56. მანონ ...
57. სოფ. ყაზბეგის რაიონში
58.ბოროტი გოლიათი კელტურ მითოლოგ.
59.ყირიმის ავტონომ. რესპუბლიკის დედაქალაქი
60. მწვერვალი ალპებში
61. ფრანგი ფერმწერი
62. გაბრიელ ... ბატისტუტა
63.სპილენძის შენადნობი სხვადასხვა მეტალთან
64. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
65. ბალეტ „ჟიზელის“ კომპოზიტორი
66.ფრანგ. ყველი
67.ჩინელთა ბელადი
68. სოსოიას რუსის სახელი „მე ვხედავ მზეში“
69. პეპი გრძელიწინდას მეგობარი გოგონა
70.ჩვილი ბავშვის პირველი საკვები
71. საერთაშორისო საეტომობილო ფედერაცია (აბრევიატ.)
72. მთავართა ტიტული აღმოსავლეთის ქვეყნებში
73. არაბული ფლეიტა
74.ინგლ. როკ-ჯგუფი „... ფლოიდი“
75. კედლის შანდალი
76. გრძელი ბალანი ლომის ან ცხენის კისერზე
77. ღვთისმშობელი მარიამის დედა
78. ერთი დედ-მამის ქალიშვილი სხვა შვილების მიმართ
79. თაყვანისცემა ან სინანულით შეერდომა
80. კალათბურთის „დაფა“
81. აბრეშუმის ქსოვილი
82. დიქტატორული პოლიტიკური რეჟიმი
83. ბალზაკის რომანი „მამა ...“
84. ძვ. რომაელი მხედართმთავარი
85. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

3		2		1	8			
		9	6			3	2	
		6	3			9		5
6						4		2
	3						9	
2		8						3
5		1			7	2		
	2	3			6	5		
			5	2		8		4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	2			9				
9			6		2			
7		5			8			
6		2			3	1		9
5		7	2			6		3
			4			8		5
			3		7			4
				5			3	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

					7			4
	6	5		1				7
		3				2		9
			1	7				
4			8		6			2
				3	5			
3		6				7		
5				4		8	2	
8			5					

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2					9			
	5			2				3
7	6		5	1				
	9			3		8		5
		1	2		6	3		
4		7		5			6	
				9	5		8	2
1				8			7	
			1					9

ჰოროსკოპი
17 ივლისი

ვერძი — დღეს ტირანის როლს მოირგებთ, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენებით ოჯახის წევრებს. ზუსტად იცით, ვინ, რა და როგორ უნდა გააკეთოს და მზად ხართ, ეს გააკონტროლოთ. თუ ახლობლებთან ურთიერთობაში პრობლემები დაგიგროვდათ, შეეცადეთ მათ გამოსწორებას დიპლომატიური გზით.

კურო — გარშემომყოფებთან დღეს დისონანსში იმყოფებით. გეჩვენებათ, რომ ყველა ზემოდან გიყურებთ. სჯობს, თქვენც სერიოზული გამომეტყველება გქონდეთ.

ტყუპები — ვითარება დღეს ფინანსური საკითხის გადაჭრას მოითხოვს. ახალი სამუშაოს, დამატებითი შემოსავლის წყაროს ძიება წარმატებით დასრულდება. ფინანსური დამოუკიდებლობის სურვილით შეპერობილი ნებისმიერ წინააღმდეგობას გადალახავთ.

კირჩხიბი — დღეს თქვენი კრიტიკულობა ნაკლებად იქნება მიმართული საკუთარი თავისკენ. გგონიათ, რომ თქვენი შენიშვნებით გარშემომყოფებს შეარცხვენთ და ისინი შეცდომებს გამოასწორებენ, თუმცა ასე არ ხდება. თქვენი რჩევები არავის სჭირდება, კრიტიკა კი წყენის მიზეზი გახდება.

ლომი — დღეს სულ უბრალო რამეზეც კი ღიზიანდებით, თუმცა გაურკვევლობა თქვენს ირგვლივ, შესაძლოა, მართლაც იეოს. ვარსკვლავები გირჩევენ, არ მოდუნდეთ და მოქნილობა გამოიჩინოთ.

ქალწული — მთელ დღეს ზეწოლას განიცდით, რისგანაც თავის დაღწევა ძლიან გაგიჭირდებათ. სჯობს, სიტუაციას შეეგუოთ და მშვიდად აკეთოთ თქვენი საქმე.

სასწორი — დღეს საკუთარ თავსაც აჯობებთ, ნებისმიერ საქმეს წარმატებით დააგვირგვინებთ, თუმცა ვარსკვლავები გირჩევენ, უსაფრთხოებაზეც იფიქროთ, რაც საკმაოდ გაგიადვილებთ ცხოვრებას.

სკორპიონი — სამართლიანობის გრძნობა დღეს განსაკუთრებით გამძაფრებული გაქვთ. მზად ხართ, მეკრდით გადაეფაროთ ნებისმიერი ადამიანის ინტერესებს, თუკი ჩათვლით, რომ გარშემომყოფები მათ ავიწროებენ.

მშვილდოსანი — დღეს ბრძოლისთვის ხართ განწყობილი. არ აქვს მნიშვნელობა, ვისთან ან რისთვის, თუმცა ამავდროულად, მტრების მიმართ განსაკუთრებით ლოიალური იქნებით.

თხის რქა — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს მხოლოდ პირდაპირი გზით იაროთ. საკუთარი თამაშის წამოწყების მცდელობა ან რაიმეს დაფარვა თუ დამახინჯება, შესაძლოა, სავალალოდ დასრულდეს. ასე რომ, თუკი საჭირო შედეგის მიღება გსურთ, ღიად მოქმედება მოგიწევთ.

მერწყული — მერწყულებმა დღეს თავი უნდა შეიკავონ ზედმეტი პირდაპირობისგან. არადა, საკუთარი აზრის არდაფიქსირებაც გაგიჭირდებათ. თუ ამ ცდუნებას ვერ გაუძლებთ, შეუბრალებელი კრიტიკით თანამოსაუბრეს გაანადგურებთ და დამატებით პრობლემების შეიქმნით. ასე რომ, სჯობს, „ოქროს შუალედი“ აირჩიოთ.

თევზები — დღეს აჯობებს თქვენი რადიკალიზმი ლოიალობით შეცვალოთ და ნებისმიერი გადაწყვეტილება ნაკლები ემოციურობით მიიღოთ. სხვაგვარად კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება.

ოლიგარქების შვილებს არმანის პამპერსები „დაამშვენებს“

ცნობილმა იტალიელმა დიზაინერმა ჯორჯო არმანიმ, საკუთარი სამოდელო სახლის ლოგოტიპით, განსაკუთრებული პამპერსები შექმნა, რომლის ღირებულებაც 23 ევროს შეადგენს. ჩანს, არმანი ეყოლება რუსეთში ასეთი „აბსურდული ფუფუნების“ მომხმარებლები, თან „საუცხოო შავი პამპერსების“ რეკლამაც საფირმო სტილშია — განებივრებული ბავშვები მდიდრულ დარბაზში ერთობიან ჩინებული ჭაღების, ოქროს, მარმარილოს სვეტების, სარკეების, ანტიკვარული ავეჯისა და ხალიჩების ფონზე. შესანიშნავი ეკიპირებაა ოლიგარქების შვილებისთვის.

მოგზაურობა ზღვაზე ოტელიდან გაუსვლელად

ასეთ სერვისს მსურველებს სთავაზობს ოტელი-ატრაქციონი „მზიანი კრუიზი“, რომელიც საზღვაო ლაინერის ზუსტ ასლს წარმოადგენს და სანაპიროს მაღალ კლდეზეა აშენებული, აივნებიდან ულამაზესი ხედი იშლება. სასტუმრო 211-ნომრიანია, აქვს ორი რესტორანი, ღამის კლუბი, კარაოკე, აუზი ზღვის იმიტაციით, სათამაშო მოედნები, ფიტნესკლუბი და სხვა გასართობები. ოკეანეში დაკარგული უკაცრიელი კუნძულის ატმოსფეროს შესაქმნელად, ოტელი თანამედროვე აუდიოსისტემითაა აღჭურვილი — „გემბანზე“ მოსეირნე ტურისტებს თოლიების ხმა და ზღვის ტალღების ხმაური „ესმით“, სასტუმროში ერთი ღამის გატარება კი 80 ათასი კორეული ვონი (71 დოლარი) ღირს.

ჩინელებმა ყველაზე დიდი შენობა ააგეს



ჩინეთის პროვინცია სიჩუანში, ქალაქ ჩენდუსთან, ცოტა ხნის წინ მსოფლიოში ყველაზე დიდი შენობის ოფიციალური გახსნის ცერემონია შედგა. ამ მრავალფუნქციური კომპლექსის The New Century Global Center ფართობი 1,76 მილიონ კვადრატულ მეტრს შეადგენს; შენობის სიგრძე 500 მეტრია, სიგანე — 400 მეტრი, სიმაღლე კი 100 მეტრს აღწევს. ჩინელები ამ უდიდეს კომპლექსს 3 წლის განმავლობაში აშენებდნენ, მასში უამრავი ოფისი, 400 ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული სავაჭრო მოედნები, ორი სასტუმრო, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, საუნივერსიტეტო კომპლექსი, საკონფერენციო დარბაზები, 14-დარბაზიანი IMAX კინოთეატრი, ყინულის საცურაო და აკვაპარკი 400-მეტრიანი ხელოვნური პლაჟით. ცენტრის განსაკუთრებულ მოვლენად, ეგრეთ წოდებული, ხელოვნური მზე მიიჩნევა.

ჰოროსკოპი
18 ივლისი

ვერძი — შეეცადეთ, დღეს მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინოთ და ყველაფერი გააკეთოთ, რაც თქვენზეა დამოკიდებული. მხოლოდ ასე შეძლებთ, გარშემომყოფების იმედის გამართლებას და კარიერაშიც მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამთ.

კურო — ჯიუტად არ გსურთ ჩვეული საქმიანობის კურსის ახლებური ტაქტიკით ჩანაცვლება, რასაც დაჟინებით გირჩევენ გარშემომყოფები. დღეს რთული ამოცანების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდებით, ამ მხრივ განსაკუთრებული სირთულეები პროფესიულ ასპარეზზე შეგხვდებათ.

ტყუპები — შესაფერისი დღეა ოჯახის წევრებთან ან საყვარელ ადამიანთან დროის გასატარებლად. ნუ იტყვით უარს მეგობრების შემოთავაზებაზე, ასე შეძლებთ მათთან ურთიერთობასაც და თქვენს მეორე ნახევართან ერთად ეოფნასაც.

კირჩხიბი — ისეთ საკითხზე გაგიცრუვდებათ იმედი, საერთოდ რომ ვერ წარმოიდგენდით, ხოლო სადაც წარუმატებლობას მოელით, იქ ყველაფერი შესანიშნავად ჩაიელის. მზად იყავით მოულოდნელი სიურპრიზისთვის.

ლომი — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს უფრო თავდაჯერილი იეოთ და შორსმჭვრეტელობა გამოამყღავნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია კონფლიქტი ოჯახის წევრებთან, ამიტომ მათ მიმართ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინეთ.

ქალწული — საკმაოდ წარმატებული დღე გელით. ეჭვი ნუ შეგეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში, პროფესიონალიზმსა და მომხიბვლელობაში... საზოგადოებაში სტატუსსაც აიმაღლებთ და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობასაც უფრო გაამყარებთ.

სასწორი — ნუ მიიტანთ გულთან ახლოს ყველაფერს, რასაც გარშემომყოფები ამბობენ. მათ ამის სათქმელად მიზეზი აქვთ, თქვენ კი შეეცადეთ, ყველაფერი თქვენივე სასიკეთოდ შემოატრიალოთ. ისწავლეთ საკუთარი ინტერესების დაცვა — ასე გაცილებით ბევრს მიაღწევთ.

ღრიანცალი — შეეცადეთ, დღეს ღირსეულად დაიჭიროთ თავი, ნუ გაუცრუებთ იმედს მათ, ვისაც თქვენი სჯერა. გაძლიერდება სასიცოცხლო პოტენციალი და შემოქმედებითი უნარი. გამოჩნდებიან ახალი და აქტიური პარტნიორები, ვინც საჭირო დროს დახმარებას გაგიწევთ.

მშვილდოსანი — დღეს ემოციური განწყობა იმდენად ძლიერდება, რომ შესაძლოა, ხვალისთვის გადადოთ სამსახურის საქმეები. სამაგიეროდ, შანსი გეძლევათ, პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები მოაგვაროთ. საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბარი ორივესთვის მისაღები იქნება და სასურველი შედეგით დასრულდება.

თხის რქა — შეეცადეთ. არ დანებდეთ იმედგაცრუებასა და ცუდ ხასიათს... ძალა მოიკრიბეთ, ყველაფერი ძალე გამოსწორდება. დასახულ მიზანს მხოლოდ ასე თუ მიაღწევთ. იყავით თანმიმდევრული.

მერწყული — მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია, ბევრი რამაა დამოკიდებული თქვენზე. დღეს ჩადენილი საქციელი მომავლში განსაზღვრავს ბევრი ადამიანის ბედს. ყველას არ შეუძლია ასეთი ტვირთის საკუთარ თავზე აღება. ისარგებლეთ გამოცდილი ადამიანების დახმარებითა და რჩევით — ისინი სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებიან.

თევზები — შეიჩვიეთ პრიორიტეტების გამოყოფას. მიზეზების ძებნაზე დროს ნუ დახარჯავთ. რაც უფრო სწრაფად მოიკრებთ ძალებს და დაიწყებთ მოქმედებას, მით უკეთ წარიმართება თქვენი საქმეები; ნუ შეგაშინებთ რადიკალური ცვლილებებიც.

სუდოკუმანია

ადვილი

6	1			3				
		4	2			3		9
3					1	8		6
				9			6	
7				5				8
	8			2				
4		8	7					3
2		6			4	9		
				6			8	4

სტანდარტი

		9	5		4	3		
				2				5
	3					4	8	
		7			2	1		
	4		9		8		5	
		8	1			6		
	7	6					1	
4				9				
		5	8		1	7		

რთული

			1			7		
2		1	8			3		5
		7		5				
1				2			3	
8			4		1			9
	3			6				8
				4		5		
4		5			7	8		2
		3			5			

ექსპერტი

	5			7			4	2
		3				1		
7			1	4				
6	3		5				8	
5				3				6
	7				1		2	3
				8	7			9
		5				3		
2	8			5			6	

ნახევარი საუკუნით ვადაგასული პროდუქტი ამოიღეს

ჩინეთის პოლიციამ ერთ-ერთ ავტონომიურ რაიონში, ვიეტნამელი კონტრაბანდისტებისგან 22 ტონა ვადაგასული ქათმის ხორცი ამოიღო. ამოღებულ პროდუქციას შორის იყო ქათმის ბარკლები, კუჭი, კისერი, რომელთაც ვადა დაახლოებით 46 წლის წინ — 1967 წელს გაუვიდა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა თქმით, ეს ვადაგასული ქათმის ხორცი მრავალჯერ იყო დამუშავებული ქიმიური დანამატებით, რათა ბაქტერიები მოესპოთ. კონტრაბანდისტების წინააღმდეგ ოპერაცია ორიოდე თვის წინ ჩატარდა და მის შესახებ ჩინელებმა მხოლოდ ახლა შეიტყვეს. ვიეტნამელებისთვის ჩამორთმეული პროდუქცია, როგორც პოლიცია აცხადებს, ჩინური ბაზრისთვის იყო გათვალისწინებული.

პიცა ნახატით

ბრიტანელმა მხატვარმა, 33 წლის პრუდენს სტეიტმა საკუთარ ნიჭს ორიგინალური გამოყენება მოუძებნა — იგი ცნობილი ფერწერების რეპროდუქციებს ქმნის... პიცაზე. ჯერ მონახაზს აკეთებს ქაღალდზე, ხოლო შემდეგ კონტურებს ხატავს პიცის ცომზე ტომატის პიურეთი. სტეიტის ნახელავებზე სულ ადვილად ამოიცნობთ დედოფალ ელისაბედს, ქეით მიდლტონს, მერილინ მონროს, ობამას, ქეით უინსლეტს, ლონდონის პეიზაჟებსა და მუნკის ცნობილ სურათს „კივილს“.

საკუთარ თავთან საუბარი სასარგებლოა?

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ადამიანის საკუთარ თავთან ლაპარაკის ჩვევა ან შიზოფრენიის, ანდა გარკვეული ფსიქიკური გადახრის ნიშანი იყო, თუმცა ამერიკელი მეცნიერები ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტიდან ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან. სწავლულებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის შედეგებითაც დაამტკიცეს, რომ ასეთი ჩვევა არა მარტო უსაფრთხო, არამედ ტვინისთვის სასარგებლოც კია. ამერიკელების ექსპერიმენტი შემდეგში მდგომარეობდა: მოხალისეები, რომლებიც შენობაში დამალულ ნივთებს ეძებდნენ, ორ ჯგუფად დაყვეს. ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ძიებისას საკუთარ ქმედებებს აკომენტარებდნენ, მეორე ჯგუფი კი ჩუმად მოქმედებდა. აღმოჩნდა, რომ „მოლაპარაკე“ მოხალისეებმა დაკისრებულ ამოცანას თავი უფრო სწრაფად გაართვეს. სწავლულები ვარაუდობენ, ლაპარაკი აჩქარებს აზროვნებას და ამგვარად, ხელს უწყობს ოპტიმალური გამოსავლის სწრაფად პოვნას.

ახალი აბი არ გაგასუქებთ

ბრიტანელმა მეცნიერებმა ლივერპულის უნივერსიტეტიდან ახალი პრეპარატი შექმნეს, რომელიც ადამიანს დაბალკალორიული საჭმლის მიღებისკენ უბიძგებს და ცხიმიან საკვებს, ტკბილეულსა და ფასტფუდს ზიზღით უყურებს. გახდომის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, ახალი მედიკამენტი იმითაც გამოირჩევა, რომ მადას არ აქვეითებს. ახალ აბს გვერდითი მოვლენებიც არ აქვს, არ იწვევს ძილიანობას და არც კუჭის ფუნქციის დარღვევას. მისი მთავარი თვისება კი ისაა, რომ ორგანიზმისთვის მავნე და უსარგებლო საჭმელს უგემურს ხდის, ხოლო მცენარეული კი ამ დროს გემრიელი და გაცილებით მიმიზდველი ხდება. დიეტოლოგების აზრით, ახალი აბები შესანიშნავი საშუალებაა, რომელიც აღნაგობის პირველ მტერს — ცხიმიანობისა და ნახშირწყლების დონეს აქვეითებს. სწავლულები აცხადებენ, რომ ახალი გასახდომი საშუალება, რომელიც ჯერ მხოლოდ ტესტირებას გადის, ევროპაში გავრცელებულ, ეპიდემიურ სიმსუქნეს შეაჩერებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	6	9	5	1	3	7	4	2
7	5	4	2	9	8	3	1	6
3	2	1	7	6	4	5	8	9
1	9	7	3	8	2	6	5	4
6	8	5	1	4	9	2	3	7
2	4	3	6	5	7	8	9	1
9	1	6	8	7	5	4	2	3
5	7	2	4	3	1	9	6	8
4	3	8	9	2	6	1	7	5

სტანდარტი

9	5	7	3	6	4	1	2	8
8	6	4	2	9	1	7	5	3
1	2	3	8	7	5	9	6	4
5	7	2	6	4	9	3	8	1
6	4	1	7	8	3	5	9	2
3	9	8	1	5	2	6	4	7
2	1	9	5	3	8	4	7	6
4	3	6	9	2	7	8	1	5
7	8	5	4	1	6	2	3	9

რთული

7	2	6	4	3	8	5	9	1
1	5	4	6	7	9	8	3	2
8	9	3	5	2	1	6	7	4
3	8	2	1	4	7	9	6	5
6	7	5	3	9	2	1	4	8
4	1	9	8	5	6	3	2	7
9	3	1	2	8	4	7	5	6
2	6	7	9	1	5	4	8	3
5	4	8	7	6	3	2	1	9

ექსპერტი

3	4	7	2	6	5	9	1	8
6	9	8	1	7	4	2	5	3
5	2	1	3	9	8	4	7	6
7	1	9	8	5	6	3	4	2
4	3	2	7	1	9	6	8	5
8	6	5	4	3	2	1	9	7
2	8	6	9	4	7	5	3	1
1	5	4	6	8	3	7	2	9
9	7	3	5	2	1	8	6	4

მე-16 გვერდი: 1. სანტიაგო; 2. ატოლი; 3. ტიბრი; 4. ალიზი; 5. ბართლომე; 6. ავანდასტა; 7. თიამინი; 8. ოროვანდი; 9. აბი; 10. კომბაინი; 11. ციცინათელა; 12. ლამა; 13. ასტანა; 14. მარადონა; 15. მი; 16. რანჩერო; 17. ლაიოსი; 18. კიტო; 19. დინდგელი; 20. სიცილია; 21. ირანი; 22. ეგიდა; 23. ადმირალი; 24. ანანია; 25. ადამსიტი; 26. ადრიანო ჩელენტანო; 27. სოია; 28. დეციმეტრი; 29. აგარი; 30. შინი“; 31. ჩიო; 32. სიდნი; 33. ნარი; 34. აბაკა; 35. ლემა; 36. საბუე; 37. ჩერო; 38. რიარია; 39. ნონა; 40. ლადონა; 41. ლეია; 42. რაეო; 43. დალი; 44. აბია; 45. ოტია; 46. აბიო; 47. ონო; 48. დონ; 49. ედო; 50. გოთიკა; 51. თელა“; 52. ეკო; 53. ნარდი; 54. იასი; 55. ნოტი; 56. სე; 57. სნო; 58. ლალი; 59. „საბა“; 60. ერი; 61. ნადალი; 62. ოკეანე; 63. ეჩო; 64. დოგი; 65. იტონი.

ზომბებთან ბრძოლაში სუნამო დაგეხმარებათ

ამერიკელი პარფიუმერების ორი ახალი არომატი მომხმარებელს ჰპირდება, რომ „ცოცხალი მიცვალებულების“ შეტევის შემთხვევაში, სუნამო მათი პირველი იარაღი იქნება. ცნობილი კომპანიის არომატები უკვე გაყიდვაშია, რომელიც ორ ვარიანტად გამოვიდა: მშვენიერი სქესისა და მამაკაცებისთვის. შუშის დიზაინი ლაკონურ სტილშია — ეტიკეტს მიცვალებულთა გამოსახულება „ამშვენებს“ წარწერით: „ზომბი ქალისთვის“ და „ზომბი კაცისთვის“. ამ უჩვეულო პარფიუმის ავტორების ჩანაფიქრით, სუნამოს სურნელი ადამიანისთვის პირველი იარაღი უნდა იყოს ზომბი-აპოკალიფსის დადგომისას. არომატის შემადგენლობაში შედის გამხმარი ფოთლების, სოკოს, ობის, ხავსისა და მიწის ნოტები. სუსტი სქესისთვის განკუთვნილ ვერსიას კი დამატებული აქვს ინგრედიენტი — „ღვინის კასრის ძირში არსებული ნალექი“. სიახლის ღირებულება 20-დან 39,5 დოლარამდე მერყეობს, შეფუთვის მოცულობის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ გამოსვლის დღიდან, ახალი სუნამო უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს ზომბების შეტევის მოლოდინში მყოფ ამერიკელებში.

1. სახელმწიფო ანტიგუა და ...
2. მექანიკის ნაწილი
3. ჯანმრთელობის ფობია
4. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში
5. კრედიტი უძრავი ქონების თავდებით
6. მოკლე დისტანციაზე სირბილი
7. საძერწავი მასა
8. მდინარე აზიაში
9. ძველ რომაელთა უსახელო პერანგი
10. რუსული ზღაპრის პერსონაჟი
11. ნავთობსადენი ბაქო-თბილისი -...
12. ტბათმცოდნეობა
13. საერთაშ. შეთანხმებით ცნობილი სოფელი ლუქსემბურგში
14. იტალიის კუთვნილი კუნძული
15. ისტორიული სახელმწიფო შუამდინარეთში
16. აბელის და კაენის მამა
17. საფეხბ. კლუბი „... ხუნიორსი“
18. ქართული ვაზის ჯიში
19. დედალოსის ურჩი ვაჟი
20. ადამიანის სამეტყველო ორგანო
21. ცისარტყ. ქალღმერთი
22. სოფ. სენაკში
23. სიგიჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
24. გაღმერთება, თაყვანისცემა
25. ალმასის მოძველებ. სახელწოდება
26. პერანგის საყელოზე მოვლებული მარმაში
27. ოსირისის ცოლი
28. სახარებ. ავტორი
29. ჭამის სურვილი
30. სახლს მიშენებული სახურავიანი აივანი
31. კიანუ რივზი „მატრიცაში“
32. ცირკის მსახიობი
33. შეძახილი კონცერტზე გამეორების მოთხოვნით
34. თურქი მწერალი ... ფამუქი
35. დეზდემონას ქმარი
36. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
37. გეომეტრიული სხეული
38. მსახიობი ... ჟაკობი
39. პატარა საწნახელი
40. არაბული ფლეიტა
41. კუკარაჩას ცოლის სახელი
42. ჯადოს-ნური თვალი
43. დატოტვილრქებიანი ცხოველი
44. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
45. დამუხტული ატომი
46. ტიბეტ. დედაქალ.
47. თავისუფ. ნარკვევი
48. საკვები პროდუქტების ფინური ფირმა
49. მძიმე ინფექციური დაავადება, იგივე ჰიდროფობია
50. ოთარ ჭილაძის „... მამალი“
51. შხამიანი გომბეშო
52. მილანის სტადიონი „სან-...“
53. ქართ. ანბან. ასო
54. თოვლის კაცი
55. ჭაობის მცენარე
56. სამკურ. მცენარე
57. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
58. უბედურების საერთაშ. სიგნალი
59. ინფორმაციის ელემენტარ. ერთეული
60. ფეხბურთის საერთაშ. ფედერაცია
61. მუს. გამის II ნოტი
62. მდინარე ბერნში
63. პიპინიას ძაღლის სახელი
64. ერთეულთა საერთაშ. სისტემა
65. ნიდერლანდელი ფერმწერი
66. არსაკიძის მოფერებ. სახელი
67. ფაფა - ბავშვის ენაზე
68. წიწვოვ. მცენარის გაქვავებული წვენი

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ყველაზე მსუქნები მექსიკელები არიან

მსოფლიოში უკვე დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომ ყველაზე ჭარბწონიანები პლანეტაზე ამერიკელები არიან. რასაკვირველია, ეს მოსაზრება საფუძველსმოკლებული არ არის, თუმცა ბოლო გამოკვლევებით გაირკვა, რომ ყველაზე მეტად, სიმსუქნე მექსიკელებს აწუხებს — „ყველაზე ნაკვები“ ერის არც ისე სასიამოვნო ტიტულს ისინი ფასტფუდს, მჯდომარე სამუშაოს და გაზიან სასმელს უნდა „უმადლოდნენ“. გაერო-ს უახლესი გამოკვლევებით, დღეს მექსიკელების დაახლოებით 70% ჭარბწონიანად მიიჩნევა და, ბუნებრივია, ეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც აისახება. მექსიკური ფასტფუდი უამრავ ისეთ პროდუქტს შეიცავს, რაც ზედმეტი წონის პრობლემებს ქმნის, მათ შორის სიმინდის ლავაში ღორის ან საქონლის ხორცით, ყველით, სოუსით, პარკოსნებით, მოლუსკებით... აღსანიშნავია, რომ სიმსუქნე, ძირითადად, ახალგაზრდა თაობასა და ღარიბ მოსახლეობას აწუხებს, ვინც რეგულარულად იკვებება ფასტფუდით. მექსიკელების შემდეგ, სიაში ამერიკის შეერთებული შტატებია, მესამეზე — სირია; მეოთხე საფეხურზე ლიბია და ვენესუელა აღმოჩნდნენ, მეხუთეზე კი — კარიბის ზღვაში მდებარე ტრინიდადი და ტობაგო. ამ „შესაშურ“ ტოპ-ათეულშია ასევე არგენტინა, ერაყი, თურქეთი, ჩეხეთი და ჩილე. კვლევის მიხედვით, დღეს მსოფლიოში, დაახლოებით, 1,5 მილიარდ ადამიანს აქვს ჭარბი წონის პრობლემა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.